# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 18 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 236 (6093)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




## ბათუმიდან 5 თბილისისკენ (ან – პირიქით) მიმავალი მგზავრი...

რამდენი რამ სტკივა და რამდენი ვინმე სწოვს სისხლს ჩვენს ავტოსადგურებს

## სააკაშვილმა საქართველო ბანტუსტანს გაუთანაბრა 8



НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## რუსული მითები ყენევის მოლაპარაკებების წინ 2

## როდის აპატიებენ საქართველოში ქართველები ქართველებს ნიჭიერებას? 4



## 2 წინდების ქსოვა და ფინანსური კრიზისის დაძლევა



## კახა გოგოლაშვილი: 3 კონფედერაციულ მოწყობაზე საუბრის დაწყება საქართველოსთვის შეიძლება ხაფანგი იყოს

## საქართველოში სურსათის უვნებლობა არ კონტროლდება და მომხმარებელთა ჯანმრთელობა მუდმივ საფრთხეშია 4

## ოპოზიციონერობა... სამომავლოდ 8-9

დასავლეთ ევროპამ ბევრი დრო მოანდომა სააკაშვილის პიროვნების შესწავლას. ამერიკელებმა ადრე გაიგეს მისი პერსონის შესახებ და ამიტომაც დაუჭირეს მხარი. მათ ხელს აძლევდათ დამჯერი პოლიტიკოსი, რომელიც ნებისმიერ დროს ხმალამოღებული ეკვეთებოდა კონკურენტ რუსეთს.

აგვისტოს ომის შოკიდან არც კი იყო გამოსული საზოგადოება, რომ ქართულ-სომხური კონფლიქტის საშიშროება ამოტივტივდა. სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნაზე, ახალ საავტომობილო მაგისტრალზე (სომხეთიდან ბათუმამდე) ალაპარაკდნენ, რომელიც ტერიტორიის დაკარგვის საშიშროებად მიიჩნევა. ყველაფერთან ერთად სომხური თუ საერთაშორისო პრესა ქართველების მიერ სომხების დისკრიმინაციაზე ინტენსიურად იწყებს წერას. ამას წინათ კი ნორაშენის ეკლესია იქცა ქართველებისა და სომხების განხეთქილების ვაშლად.

## ვან ბაიბურთი: არ მინდა, ერთი ეკლესიის გამო კონფლიქტი 3 გამწვავდეს ქართველებსა და სომხებს შორის, ეს ამად არ ღირს!

სიტუაცია

# რუსული მითები ჟენევის მოლაპარაკებების წინ

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის შესახებ განცხადებას ავრცელებს. საგარეო უწყებაში მიიჩნევენ, რომ რუსეთის ფედერაცია მოლაპარაკებების დაწყების წინ ცდილობს, მოადუნოს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება მოსკოვის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე და ამ მიზნით თხზავს მითს თითქოსდა საქართველოს მხრიდან განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებზე.**



სამინისტროში განმარტავენ, რომ რეალურად, რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ზრდის და აძლიერებს საკუთარ სამხედრო კონტინგენტს, აფართოებს ეთნიკური წმენდის მასშტაბებს, ბლოკავს საერთაშორისო დამკვირვებლების საქმიანობას და უზღუდავს მათ თავისუფალი გადაადგილების უფლებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს სიტუაციის კიდევ უფრო მეტად დაძაბვას. რისი დასტურიცაა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების გახშირებული აგრესიული რიტორიკა.

რეალურად რუსეთი კვლავაც აგრძელებს პრეზიდენტ სარკოზის ინიციატივით შემუშავებული ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმის დარღვევას. უფრო მეტიც, მოსკოვი საკუთარი კრიტერიუმების შესაბამისად წყვეტს, რა არის დასაშვები და რა არა კონფლიქტის ზონებში. ასე, მაგალითად, უკანასკნელ დღეებში რუსეთის სამხედრო ძალებმა განალაგეს არტილერია სტრატეგიულ სიმაღლეებზე გალის რაიონში და დაიკავეს შეტევითი პოზიციები ზუგდიდის მიმართულებით. რუსული თვითნებობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია საჩხერის რაიონის სოფელ პერევში 12 დეკემბერს გათამაშებული პროვოკაცია, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

იქვე აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე უხეშად და მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები. ქართული მხარე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ რუსეთის ფედერაციამ თავის მარიონეტ „მთავრობებთან“ ერთად განახორციელა ქართველთა ეთნიკური წმენდა ზემო აფხაზეთში და ახალგორის რაიონში და აგრძელებს ტერიტორიების გასუფთავებას მკვიდრი მოსახლეობისგან.

მაგალითად, 10 ათასი მცხოვრებიდან ახალგორის რაიონში ახლა სულ 200 ოჯახიღა დარჩა. რეგიონს იძულებით ტოვებს როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობა. ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ უფრო ამყარებს ქართული მხარის თეზისს უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებისა და მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ. დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის კონსოლიდირებულ პოზიციას ძალუძს, უარი ათქმევინოს რუსეთს თავის აგრესიულ განზრახვებზე და აიძულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, – ნათქვამია განცხადებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ინფორმაცია

## დაზარალებულთა მდგომარეობა კვლავ შემაშფოთებელია

**გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დროს დაზარალებულთა მდგომარეობა კვლავ შემაშფოთებელია.**

ამის შესახებ ნათქვამია ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თომას ჰამარბერგის მოხსენებაში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 37 500 ადამიანი კვლავ იძულებით გადაადგილებულია და, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას მათთვის ცხოვრების შესაბამისი პირობები არ შეუქმნია.

ჰამარბერგი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წინა კონფლიქტების შედეგად დევნილი 223 ათასი ადამიანის უფლებებიც უნდა დაიცვას.

უმაღლესი კომისარი აცხადებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, ბუფერული ზონის განაღმვითი სამუშაოების საკმაოდ დიდი წილი საერთაშორისო ორგანიზაციამ „ჰალო თრასტ“ შეასრულა, სადაც დიდი რაოდენობით აუფეთქებელი ბომბები იყო დარჩენილი.

ჰამარბერგის შეფასებით, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ე.წ. ბუფერულ ზონაში უსაფრთხო დაბრუნებაა.

მისივე განცხადებით, საერთაშორისო დამკვირვებლების მონიტორინგმა უსაფრთხოების დონე შედარებით აამაღლა, თუმცა, უმაღლეს კომისარს მიაჩნია, რომ პატრულირება ღამის საათებშიც უნდა განხორციელდეს.

**ინტერპრესნიუსი**

განსჯა

**როგორც იქნა, საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საქართველომდეც მოაღწია. დღემდე გვეუბნებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშალა, საქართველოს ეკონომიკა განვითარებას განაგრძობდაო. თუმცა ჭირმა თავი ვერ დამალა და როგორც იქნა, აღიარეს. ერთი სიტყვით, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ექომ საქართველოში მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებში მოაღწია. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა მეწარმეებთან აქტიური შეხვედრები და მთავრობას კრიზისის დასაძლევი კონკრეტული ღონისძიების გეგმის შემუშავება დაავალა.**

# წინდების ქსოვა და ფინანსური კრიზისის დაძლევა

ეს თავისთავად პოზიტიურია, რომ არა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: სულ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც პრემიერმა მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ კომენტარი გააკეთა, რომლის მიხედვით ეს ცვლილება 18-თვიანი პროგრამის შესრულებას უკავშირდება. ის, რომ 50 და 18-თვიანი პროგრამები რეალურად არავის უნახავს, ძველი თემაა, მაგრამ ახლა საკითხავია, რომელი პროგრამა თუ გეგმა ხდება ქვეყნისთვის პრიორიტეტული?

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი პრეზიდენტის მიერ ეკონომიკის გადარჩენისთვის ფინანსური პაკეტის შექმნის შესახებ წამოყენებულ ინიციატივას პოზიტიურ მოვლენად აფასებს, თუმცა აცხადებს, რომ აღნიშნული ინიციატივით გამოსვლა უკვე საკმაოდ დაგვიანებულია.

პრეზიდენტის განცხადებით, დღეს საქართველოს ეკონომიკა შედარებით რთულ ვითარებაშია, მაგრამ „ჩვენ ყველანი ერთად, ერთიანი მუშაობითა და ძალისხმევით არსებულ პრობლემებს დავძლევთ“.

ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ როგორ? იქნებ უცნობია მთავრობის წევრებისა და ხელისუფლებისთვის, რომ ადამიანები ბანკებში სესხებს ვერ იხდიან, იქნებ უცნობია, ის გარემოება, რომ თაროები ვერ უძლებს სესხების ამოსაღებად სასამართლოსათვის მისამართ საქმეებს და ათეულობით ათას ოჯახს შავი ახალი წელი უთენდება?

ხომ არ აჯობებდა, რომ მთავრობა ბანკებს დახმარებოდა, მათგან კი კრედიტორთათვის მისაღები და თავისუფალი გრაფიკის შემოღება მოეთხოვა, თუნდაც უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში.

„ვავალებ მთავრობას, რომ შეიმუშაოს საქართველოს ეკონომიკის გადარჩენისა და შენარჩუნების საკანონმდებლო ფინანსური პაკეტი. ამ პაკეტის ნაწილი უნდა იყოს ახალი ბიუჯეტი, რომელსაც სერიოზული გამოწვევები ელის. უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი გეგმები და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მოსალოდნელ სირთულეებს“, – განაცხადა სააკაშვილმა.

მაგრამ ისევ ისმის კითხვა, მოსალოდნელი სირთულეები განა კონკრეტულ ადამიანებზე არ გადის? იძლევა მთავრობა იმის გარანტიას, რომ ქუჩაში არ აღმოჩნდება ათასობით ოჯახი და იპოთეკური სესხები, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოხდა, არ დააცარიელებს მილიონობით კვადრატულ მეტრ ფართს? გამართა კი ვინმემ ამ თემაზე კონსულტაციები ბანკირებთან და ექსპერტებთან? ან როგორ აპირებს მთავრობა წარმოების აღორძინებას მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეთა მსყიდველობითუნარიანობა უახლოეს თვეებში მინიმუმადე შემცირდება?

ის, რომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას შევძლებთ და ამით ინვესტიციებს მოვიზიდავთ, სათუოა. აგვისტოს მოვლენების შემდეგ ქართული ბიზნესისთვის მიყენებული პირდაპირი და ირიბი ზარალის აღმოფხვრასა და თუნდაც იმავე მაჩვენებლებზე გასვლას ერთი წელი არ ეყოფა.



შესაბამისად, პრეზიდენტის განწყობა უფრო სურვილის დემონსტრირებაა, ვიდრე მკაცრი რეალობა.

პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ პრიორიტეტი წარმოების აღორძინება და მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების შექმნაა და თან შეგვახსენა, რომ ძლიერი ეკონომიკა ქვეყნის მთლიანობისა და სიძლიერის საფუძველია.

და ისევ მაგრამ... როგორ აპირებს ხელისუფლება წარმოების აღორძინებას? ახლა, ამ წუთას, გარდაცვალების საშუალება უნდა მისცეს, შემდეგ რეანიმაციაში შემოაბრუნოს და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე უნდა ჩართოს? როგორ აპირებს ხელისუფლება, რომ სახელმწიფოს თითოეული თეთრი სამუშაო ადგილების შექმნას მოხმარდეს?

„წარმოების გაზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყნის მომავალში ჩადებული ინვესტიციაა“, – აცხადებს პრეზიდენტი, მაგრამ ისევ გაუგებარია, როგორ?

ამ რებუსების ამოხსნაში უნდა ამოხდეთ ადამიანებს სული? ან არ მოვიდა ის დრო, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიდოს კონკრეტული დოკუმენტი და დასრულდეს ლოზუნგებითა და ტრაფარეტებით ოპივატელების ზომბირება? თუმცა, უკვე რომ არავის არაფრის სჯერა და ეს ზომბირებაც ნაკლებსა ჭრის, ესეც ნათელია.

რაც შეეხება დასაქმების საკითხს, ცისკარიშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო ხელოვნურად უქმნის პრობლემას ბიზნესს და თუ ბიზნესზე სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა მოიხსნება, დასაქმების თვალსაზრისით პოზიტიური ძვრები დაიწყება.

„ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ, სუბიექტურ მიზეზებზეც. ჩვენ ყველა ობიექტურ მიზეზს ვერ დავძლევთ და ეს რასაკვირველია ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს პროცესებზე, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ შეველიოთ იმ კრიზისის სუბიექტური მიზეზებით ტკბობას, რომელსაც თავად ვიწვევთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ კი არ უნდა მოგვმართოს პრეზიდენტმა, არამედ, საკუთარ სამსახურებს, საფინანსო პოლიციას, შსს-ს, რომ შეწყდეს სახელმწიფო რეკეტი და ბიზნესს საშუალება მიეცეს, რომ საკუთარი შეხედულებით იმოქმედოს, რაც უთუოდ ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერესებსაც“, – აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში სოსო ცისკარიშვილი.

თუმცა ამ ფონზე აშკარაა ისიც, რომ არსებობს გამოსავალი – წინდების ქსოვა. მაგრამ აქაც არის ერთი პრობლემა. აზრი არ აქვს მხოლოდ წინდების ქსოვა რომ იცოდე, მთავარია, ისეთ ქუჩაზეც ცხოვრობდე, რომელიც საქართველოს მთავარი ტურისტული ობიექტია. ამ ვითარებაში კი ცხოვრება აწყობილი გაქვს. შეიძენ ავეჯსაც, გადაიხდი დენისა და გაზის ფულსაც, მოხვდები ინტერნეტშიც და გაგიჩნდება იმედის ნაპერწკალიც.

განა ასე არ ბრძანა ქვეყნის პრეზიდენტმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას:

„ქალბატონი ცირა იჯდა სიღნაღში. არ ჰქონდა სასმელ-საჭმელი, არ ჰქონდა ელექტროენერგია, სითბო, იღებდა 13-ლარიან პენსიას და არ ჰქონდა მომავლის იმედი. უცებ მისი ქუჩა საქართველოს მთავარი ტურისტული ობიექტი გახდა. იქ ჩადის ყოველდღიურად ასობით და ათასობით ტურისტი. ერთ დღესაც დაჯდა ქალბატონი ცირა, მოქსოვა წინდები და იმ ფულით შეიძინა ავეჯი, გადაიხადა დენისა და გაზის ფული, მოხვდა ინტერნეტში. მან დაიწყო ცხოვრება, თვალებში გაუჩნდა ნაპერწკალი“.

ისე, ერთი წინდა 10-15 ლარი ღირს, რომლის მოქსოვას მინიმუმ ორი დღე უნდა, უქმეებიც გამოვაკლოთ და გამოვა, რომ ორი წლის განმავლობაში ქალბატონმა ცირამ მაქსიმუმ 200 წინდა მოქსოვა. და მან მოახერხა 2000 ლარით ავეჯის შეძენა, კომუნალური გადასახადების, მათ შორის ინტერნეტის გადახდა და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსება? ალბათ პენსია წაეშველა, თორემ ისე ნამდვილად გაუჭირდებოდა.

**გოჩა მირცხულავა,**
**ჯი-ეიჩ-ენი.**

**თვალსაზრისი**

***აგვისტოს** მოვლენების განმეორების შესაძლებლობაზე, რუსეთის მცდელობაზე, დააკანონოს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში თავისი სამხედრო ძალები, იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს რუსულ პოლიტიკურ წრეებში საქართველოს კონფედერაციულ სახელმწიფოდ შექმნის შესახებ დაწყებული საუბრები, „ინტერპრესნიუსი" ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს კახა გოგოლაშვილს ესაუბრა.*

# კახა გოგოლაშვილი: კონფედერაციულ მოწყობაზე საუბრის დაწყება საქართველოსთვის შეიძლება ხაფანგი იყოს



**— ბატონო კახა, რას შეიძლება უკავშირდებოდეს მოსკოვში გახშირებული საუბრები რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი სამომარი მოქმედებების დაწყების შესახებ და რამდენად რეალურია აგვისტოს ომის განმეორების ალბათობა?**

— რუსეთის ინტერესებში არ უნდა იყოს ამ ეტაპზე საომარი მოქმედებების განახლება, მით უმეტეს ზამთარში და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, მაგრამ საქართველოში დაძაბულობის ესკალაცია რუსეთის ინტერესებშია. რუსეთს საქართველოში ისეთი ვითარების შექმნა სურს, როცა ომის დაწყების შესაძლებლობა მაღალი იქნება. ეს უარყოფითად იმოქმედებდა საქართველოს ეკონომიკაზე და შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე. რუსეთის ინტერესში საქართველოში ისეთი ვითარების შექმნაა, როცა პოლიტიკური პროცესების მართვა უფრო იოლად არის შესაძლებელი.

როდესაც პროვოკაციულად ხდება შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის მობილიზება, სამხედრო ესკალაციის შესაძლებლობა გამორიცხული არაა. რისკის შექმნა რუსეთისთვის თვითმიზანი არ არის. რუსეთს საომარი მოქმედებების განახლებაზე საუბარი საქართველოში არასტაბილური ვითარებისა და ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობის დაჩქარებისთვის სჭირდება.

**— ჟენევის მოლაპარაკებების წინ მოსკოვი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში თავის ამოცანად ამ რეგიონებისთვის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შექმნას ასახელებს. რუსეთი ამ თემაზე საუბრით ხომ არ ცდილობს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში თავისი სამხედრო ძალების ყოფნის, საერთაშორისო ორგანიზაციების თანხმობით, დაკანონებას?**

— რუსეთი ამას აუცილებლად ეცდება, მაგრამ ნებისმიერი სახის საერთაშორისო გარანტიები, სადაც რუსეთი არ შეასრულებს წამყვან როლს, რუსეთისთვის მიუღებელი იქნება. რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მშვიდობისმყოფელის მანდატი აღარ აქვს, ამიტომ მისი იქ ყოფნა აბსოლუტურად უკანონოა. ეს ხდება იმის პარალელურად, როცა მთელი ცივილიზებული მსოფლიო რუსეთისგან აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან მისივე ჯარების გაყვანას ითხოვს.

რუსეთისთვის მთავარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა კი არა, იმგვარი პროცესის შექმნაა, რომლის დროსაც სულ იქნება საუბარი ამ რეგიონების უსაფრთხოებაზე. რუსეთი შეეცდება ამ პროცესის დროში გაჯანჯლებას, იმაზე საუბრებს, თითქოს ამ რეგიონებს საქართველოსგან საფრთხე ემუქრება. ამის შემდეგ მოსკოვი ამ რეგიონებში თავისი სამხედრო ძალებისთვის ლეგალური სტატუსის მინიჭებას მოითხოვს.

რაც შეეხება უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებს, მთავარია, როგორი მანდატი შემუშავდება პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის. თუ შერეული ძალები იქნა, მაშინ მათ თავისი ზონები ექნებათ. აუცილებლად შეზღუდული კონტიგენტი იქნება. ასეთ ვითარებაში რუსეთი ვერანაირად ვერ გააჩერებს აფხაზეთში თავის 7 ათას ჯარისკაცსა და სხვა სამხედრო შეიარაღებას.

**— სოხუმი აფხაზეთში მოქმედი გაეროს მისიისთვის სახელწოდების შეცვლას დაჟინებით ითხოვს. აფხაზურ მხარეს არ სურს ამ მისიას ერქვას „გაეროს მისია საქართველოში". საუბარია იმაზე, თითქოს მოიძებნა კომპრომისული ვარიანტი — უბრალოდ სახელწოდება „გაეროს მისია". თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მისიას რა ერქმევა. ტერიტორიული მთლიანობა არ დარღვეულა, როცა მისიას რეგიონის სახელიც რქმევია. მთავარია, რა დაევალება მისიას მანდატით. თუ მისიის მანდატში ჩადებული იქნება, რომ თვალყური ადევნოს ლტოლვილთა დაბრუნებას და მათი უსაფრთხოების გარანტიების შექმნას, რეგიონის დემილიტარიზაციასა და უცხო ძალების გაყვანას, ეს ჩვენ ხელს გვაძლევს.

თუ მანდატში ეწერება, რომ მან რუსეთის ჯარებთან უნდა ითანამშრომლოს და ერთობლივად რაიმე განახორციელოს, მაშინ ეს რუსული სამხედრო ძალების რაიმე ფორმით დაკანონების ტოლფასი იქნება.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს რუსულ და ქართულ პოლიტიკურ წრეებში საქართველოს კონფედერაციულ მოწყობაზე საუბრის დაწყება? რამდენად მისაღებია საქართველოსთვის ქვეყნის კონფედერაციული მოწყობა? ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფედერაციული მოწყობა საქართველოსთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების ერთადერთი შესაძლებლობაა.**

— კონფედერაციული მოწყობა თავისთავად ცუდი არ არის, შვეიცარია კონფედერაციული სახელმწიფოა. შვეიცარიულ კანტონებში თვითმმართველობის ძალიან მაღალი დონეა. ფედერაციასა და კონფედერაციას შორის, კონსტიტუციონალიზმის თვალსაზრისით, პრაქტიკულად განსხვავება არ არის.

კონფედერაციის დაფუძნების შემთხვევაში შეიძლება იგულისხმებოდეს კონფედერაციაში შემავალი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება და შემდეგ ერთიან კონფედერაციაში გაერთიანება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. როგორც კი საქართველო ცნობს კონფედერაციაში შემავალი ერთეულების დამოუკიდებლობას, მერე რა მოუვა მათ, რეალურად შეიქმნება კონფედერაცია თუ როგორ განვითარდება პროცესები, ძნელი სათქმელია. ამის გარანტია არ არსებობს. ამ შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ძალიან დიდი საფრთხე არსებობს.

ქვეყნის მოწყობის მოდელებზე საუბარი მაშინ არის მისაღები, თუ მართლა არსებობს პოლიტიკური ნება კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნისთვის. თუ ასეთი ნება რეალურად არსებობს, მაშინ საუბარი უნდა იყოს არა იმაზე, რას დავარქმევთ კონფედერაციას თუ ფედერაციას, არამედ იმაზე, თუ რა ურთიერთობები ექნებათ ერთმანეთთან თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს. თითოეულ მათგანს რა კომპეტენციები ექნებათ განსაზღვრული და მათ შორის თანაცხოვრების რა ფორმები იარსებებს. კონფედერაციულ მოწყობაზე საუბრის დაწყება საქართველოსთვის შეიძლება ხაფანგი იყოს, რადგან კონფედერაციის შექმნის შემთხვევაში თბილისს სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება მოუწევდა.

რა მიზნებსაც არ უნდა ისახავდნენ ამ იდეის ავტორები, ფედერაცია-კონფედერაციის თემაზე საუბარი ყოველთვის აუცილებელია, თუნდაც იმის გასაგებად თუ რა უნდათ ჩვენს აფხაზ და ოს პარტნიორებს და რაზე მოდიან. თუ ამ თემებზე საუბარი დაიწყება, ეს მხოლოდ მისასალმებელია.

საუბარი ყოველთვის და ყველა პირობებში შეიძლება. საუბარი არ არის რეალური მოქმედებაზე, ვიდრე რუსეთის ჯარი ამ რეგიონებიდან არ გავა, ჩვენ ვერაფერზე ვერ შევთანხმდებით, მაგრამ ამ თემაზე აზრთა ურთიერთგაცვლა მხოლოდ მისასალმებელია.

**კობა ბენდელიანი**

**პოზიცია**

***აგვისტოს** ომის შოკიდან არც კი იყო გამოსული საზოგადოება, რომ ქართულ-სომხური კონფლიქტის საშიშროება ამოტივტივდა. სამცხე-ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნაზე, ახალ საავტომობილო მაგისტრალზე (სომხეთიდან ბათუმამდე) ალაპარაკდნენ, რომელიც ტერიტორიის დაკარგვის საშიშროებად მიიჩნევა. ყველაფერთან ერთად სომხური თუ საერთაშორისო პრესა ქართველების მიერ სომხების დისკრიმინაციაზე ინტენსიურად იწყებს წერას. ამას წინათ კი ნორაშენის ეკლესია იქცა ქართველებისა და სომხების განხეთქილების ვაშლად. ამ თემებზე სასაუბროდ ვეწვიეთ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს ვან ბაიბურთს.*

# ვან ბაიბურთი: არ მინდა, ერთი ეკლესიის გამო კონფლიქტი გამწვავდეს ქართველებსა და სომხებს შორის, ეს ამად არ ღირს!

**— ბატონო ვან, რა ხდება ნორაშენთან დაკავშირებით, კომისია უნდა შექმნილიყო, შეიქმნა თუ არა და რატომ გაიწელა ეს პროცესი, მით უმეტეს, რომ კონფლიქტი და დაპირისპირება ღვივდება?**

— კომისია უნდა შექმნილიყო უფრო ადრეც, ჯერ კიდევ 1994 წელს, რადგან მაშინ დაიწყო ამ ეკლესიის გამო დაპირისპირება. პირველად მამა ტარიელი შეიჭრა ამ ეკლესიაში, დაანგრია ტავდარი, დააზიანა ხატები, ფრესკები, რომელიც მოხატული იყო ცნობილი თბილისელი მხატვრის ჰოვნართანიანის მიერ. მაშინ გადაწყდა, რომ ეკლესია დაკეტილიყო და კომისია შექმნილიყო.

**— ანუ ნორაშენი ქართველებისაა თუ სომხებისა, სადავოა?**

— სადავოა, თუმცა არც ქართველები ამბობენ უარს იმაზე, რომ ეს არის სომხების. ნორაშენზე პრესაში პუბლიკაციები არც ყოფილა 1990 წლამდე. მაშინ ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ნორაშენი აშენდა ქართული ეკლესიის ნანგრევებზე. მამა ტარიელი ამბობს, რომ წესისამებრ, როგორც მაშინ ხდებოდა ხოლმე, მე-15 საუკუნეში, მეფეს ეკლესის აგების ნებართვა არ გაუცია, თვითნებურად ააშენეს.

**— დავუშვათ ასეა, მერე?**

— ხუთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ეს იყო სომხების. იქ არიან დასაფლავებული ცნობილი სომეხი მოქალაქეები, მეცენატები. შეიძლება იქ საძირკველი მართლაც ქართულია, არც ნებართვა გაუცია ვინმეს, მაგრამ ეს ეკლესია 5 საუკუნე მოქმედებდა, 1930 წლამდე, მანამდე, სანამ კომუნისტებმა ყველა ეკლესია არ დაკეტეს.

**— ახლა რა მოხდა, ეზოს კეთილმოწყობა დაიწყეს ქართველებმა და ხმაური ამან გამოიწვია?**

— 1930 წლის შემდეგ ნორაშენში განათავსეს საქართველოს აკადემიის ისტორიული ბიბლიოთეკა. მერე, 80-იან წლების ბოლოს ის სხვაგან გადაიტანეს, ხოლო 1994 წელს მამა ტარიელი შეიჭრა. მან გააფუჭა ხატები, ფრესკები ჩაქუჩით მოანგრია, რამაც სომხების გულისწყრომა გამოიწვია.

**— იქნებ არ იყო ეს მამა ტარიელის ჩადენილი?**

— მან თვითონ აღიარა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ ეკლესია მართლმადიდებლური ყოფილიყო. კომისია შეიქმნება, ალბათ, მაგრამ ერთი ეკლესიის გამო არ მინდა კონფლიქტი გამწვავდეს ქართველებსა და სომხებს შორის. ეს ამად არ ღირს.

**— რა მოხდა ნორაშენში მაშინ, როცა იქ სომხეთის პრემიერ-მინისტრი მივიდა, მართლა შეანგრიეს ეკლესიის კარები?**

— ახლა, როცა ეზოს კეთილმოწყობა გადაწყვიტა მამა ტარიელმა (იქ მართლაც საშინელი სიბინძურე იყოძ, დარწმუნებული ვარ შემთხვევით, თუმცა სხვები სხვაგვარად ფიქრობენ, „ბულდოზერმა" სომეხი მეცენატის საფლავის ქვა დააზიანა და ადგილს დააშორა, რასაც ასევე აურზაური მოჰყვა. სომხები განაწყენდნენ იმაზეც, რომ მამა ტარიელმა ნორაშენის შესასვლელის წინ ჯვარის მამის ეკლესიასთან ნინოს ჯვარი დასვა და არა სხვანაირი ჯვარი.

ვფიქრობ, რომ რადგან ეს ეკლესია სადავო გახდა, იქ მამა ტარიელს შეეძლო სომხებისთვის ეთქვა და ერთად გაეწმინდათ ეზო. პრემიერიც დაინტერესდა, თუ რა ხდებოდა ნორაშენში. მოინახულა ის საფლავებიც, რომლებიც უკვე მოწესრიგებული იყო ქართველების მიერ. ამ საფლავის დათვალიერების დროს, პრემიერ-მინისტრს შესთავაზეს შესულიყო ნორაშენის ტაძარში. იქ იყო იულონ გაგოშიძე, გოგა ხაჩიძე, მეც გახლდით. მამა ტარიელი ამბობს, წიხლით შეამტვრიეს კარიო, რაც ჩვენი მხრიდან არ მომხდარა, რასაკვირველია ეს წარმოუდგენელია. კარი უკვე ღია იყო, რომელიც იქ მყოფ თბილისელ სომეხ ახალგაზრდებს გაუტეხიათ. ჩემი აზრით, ეს იყო პროვოკატორი ახალგაზრდების ჯგუფი.

ვიცოდი, რომ იქ არავინ შედიოდა, დაკეტილია, მაგრამ გავოცდი, როცა იქ უკვე მართლმადიდებლურად აშენებული საკურთხეველი და ქართული ხატები ვიხილე. აღმოჩნდა, რომ მშენებლობა თურმე ფარულად გრძელდებოდა...

**— ხმაური, აქციები სომხეთში... ვინ თაოსნობს ამას?**

— ჩემი აზრით, ქართველების და სომხების მტრები. მესამე ძალა ცდილობს, ერთმანეთს დაგვაპირისპიროს, როცა საქართველოს განსაკუთრებით უჭირს. 1995 წელსაც შევარდნაძეზე ტერაქტს დაემთხვა ნორაშენის თემის წამოწევა.

**— გასაგებია, მაგრამ ერევანში აქციაზე სომეხი ხალხი იდგა, რომელიც ქართველებს დისკრიმინაციაში ადანაშაულებდა.**

— უფრო ახალგაზრდები. ისინი პრესაში კითხულობდნენ ინფორმაციას, რომ ქართველები სომხებს ეკლესიას ართმევენ, ხატებს აფუჭებენ, საფლავებს ბილწავენ, პროტესტმაც არ დააყოვნა.

**— მათი ეს პროტესტი ლოგიკურია...**

— ლოგიკური არ არის, რადგან პროტესტის ეს ფორმა არ იყო საჭირო. ნებისმიერ აქციას ერევანში და თბილისში ვგმობ. შეხვდებიან ერთმანეთს სომხეთის და საქართველოს კათალიკოსები და პრობლემაც გადაწყდება.

**— რატომ ვერ მოხერხდა აქამდე მათი შეხვედრა? პროტესტი უკვე აგრესიაშია გადასული.**

— სამწუხაროდ, არ ვიცი. მამა ტარიელის ქმედებების გამო უამრავი სიბინძურე იწერება სომხურ პრესაში, ლანძღავენ სომხეთის კათალიკოსს, მთავრობას, პრეზიდენტს.

იხ. 5 გვ.

რეზონანსი

# როდის აპატიებენ საქართველოში ქართველები ქართველებს ნიჭიერებას?

## რატომ ბრკოლდებოდა და ბრკოლდება სასიკეთო გამოგონებების ხორცშესხმა

***ღრმად** ვართ დარწმუნებული, რომ ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი, ვინც მიუკერძოებლად წაიკითხავს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ცნობილი გამომგონებლის თამაზ ქვლივიძის წერილს სათაურით – „ქვეყნისთვის სასარგებლო სიახლეები მავანთა უპასუხისმგებლობას არ უნდა ეწირებოდეს“, ასევე გულდასმით გაეცნობა ამ წერილში აღნიშნულ 1998, 1999, 2005 წლების საგანგებო პუბლიკაციებს, მონოგრაფიებს „მევენახეობა ახლებურად“, იხილავს ავტორის გამოგონებებს და ოპონენტის პასკვილებს, გააკეთებს ერთადერთ დასკვნას: თამაზ ქვლივიძე მკაცრი, მაგრამ მყარი არგუმენტებით დაუპირისპირდა, და არც თუ უშედეგოდ, მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს, რომელმაც 1990 წლის 13 ივნისს მევენახეობაში სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად არ გააფორმა 1980 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 30 გამოგონების (მათგან მრავალი დანერგილია) ავტორი მევენახეობაში, რომელიც დაჯილდოებული იყო უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით და ოქროს მედლებით. ის გამომგონებელი არ გააფორმა მაძიებლად, ერთი განაცხადი (№4662860) ორ გამოგონებად რომ ჩაუთვალეს (№1664182, №1664183), და რომლის გამოგონება (№1630686) 1988 წელს დაემთხვა ამავე წლის აშშ-ში შექმნილ გამოგონებას (პატენტის №4738051). ვინც აზროვნების ხელოვნებას ცოტათი მაინც ფლობს, დაგვეთანხმება, რომ ავტორს განუსაზღვრელ სიხარულს ანიჭებს ნებისმიერი გამოგონება, მით უმეტეს, ასეთი დონის გამოგონებები.*

აკადემიკოსმა ჩხარტიშვილმა კარგად იცოდა უმაღლესი საატესტაციო კომისიის (ვაკ-ისძ 40 და 42 დებულებები, თ. ქვლივიძის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში შეტანილი თვალსაჩინო წვლილი, რისთვისაც საქართველოში ყველაზე ახალგაზრდას – 33 წლისას – მიენიჭა დამსახურებული გამომგონებლის წოდება, „სახაგრომრეწვის“ კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ გურამ მგელაძის 1990 წლის 5 იანვრის №2-10 ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც 300 ჰექტარზე ინერგებოდა მისი გამოგონებები, აცნობიერებდა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 30 დეკემბრის №1186 ბრძანებულებით დისერტაციის დაუცველად კანდიდატის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი რომ ენიჭებოდათ დიდი გამოგონებების ავტორებს, და არ გააფორმა მაძიებლად თამაზ ქვლივიძე, ვიმეორებთ, 1990 წლის 13 ივნისს, მაშინ, როცა ეს კანონი 1990 წლის 1 ივლისიდან ძალაში შედიოდა.

ვინც ღრმად გაიაზრებს აღნიშნულს და გაეცნობა ინსტიტუტის დირექტორის ნ. ჩხარტიშვილის გაცემულ შთამბეჭდავ დასკვნებსაც ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებზე – ინსტიტუტი რომ ითხოვდა თამაზ ქვლივიძის გამოგონების ფართოდ დანერგვას (!ძ, გონიერთათვის არასოდეს გახდებოდა სადავო, რომ თამაზ ქვლივიძეს დისერტაციის დაუცველად მიენიჭებოდა სამეცნიერო ხარისხი, რადგან მოსკოვის მაშინდელი დოკუმენტები გამომგონებლის სასარგებლოდ მეტყველებდა.

ანუ უფრო მარტივად და ყველა დონის მკითხველისთვის გასაგებად რომ ვთქვათ, ეს იმას ჰგავს – ბავშვი სკოლაში შედიოდეს, იცოდეს წერა-კითხვა, მათემატიკურ მაგალითებს ხსნიდეს, დაჯილდოებული იყოს ოქროს მედლებით, სკოლის დირექტორიც ბავშვის წარმატებებზე ლაპარაკობდეს და მაინც თავის სკოლაში... არ მიიღოს (!ძ.

სწორედ ეს გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ჩხარტიშვილმა მეცნიერებაში თამაზ ქვლივიძესთან დაკავშირებით 1990 წელს, რისი ზნეობრივი უფლებაც მას არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ გამომგონებლის კომპეტენციაში არ შედის გამოგონებების დანერგვა, ავტორმა საკუთარი სახსრებით დანერგა მრავალი გამოგონება, მათ შორის გრანდიოზული მნიშვნელობის ინოვაცია, რომელიც 50 პროცენტით ამცირებს ტექნიკისა და საწვავის გამოყენებას, ნულამდე დაჰყავს ვაზის ფესვთა სისტემაზე მძიმე ტექნიკის ზეწოლა და ათასობით ჰექტარ მიწას ქვეყნის სამსახურში აყენებს. სწორედ გრანდიოზული მნიშვნელობისაა!



ეს დასტურდება 2001 წლის 11 ნოემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული გამოჩენილი ქართველი აგრარიკოსი მეცნიერების წერილთ „გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს“, რომლის ფოტოასლსაც დღეს გთავაზობთ (სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დანერგვის პროგრამაშიც კი შეიტანა 150 000 ლარით დაფინანსება და საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 20 სექტემბრის №406 ბრძანებითაც დამტკიცდა, მაგრამ ვერ განხორციელდაძ, და ტელევიზიით არაერთხელ ნანახით. ინსტიტუტმა კი, რომლის დირექტორიც იმჟამადაც ჩხარტიშვილი იყო, 2005 წლის ოქტომბერში მილიონობით მაყურებელს „უჩვენა“ ინსტიტუტში დანერგილი „ბორდელები“ (!ძ.





დასკვნა საგანგაშოა: გამომგონებელი გვიჩვენებს საკუთარი სახსრებით დანერგილ ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებს, ახალი თაობის მიღწევებს! ინსტიტუტი კი, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, გვიჩვენებს „ბორდელებს“ (!ძ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თხოვნით მივმართავთ ბიზნესმენებს, დააფინანსონ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთი დღის დიდი ტირაჟი, რომ განმეორებით დაიბეჭდოს ამ გაზეთის ა. წ. 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული თ. ქვლივიძის ეს წერილი და უფასოდ დაურიგდეს მოსახლეობას, რათა ბევრმა გაიგოს (დანერგვის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნითძ, რა მარტივი და უნიკალური ინტერპრეტაციით სახავს მისი ავტორი მევენახეობის ინტენსიფიკაციის თვალსაჩინო ძვრებს, რასაც არა მარტო ჩვენი ქვეყნის უდიდესი ავტორიტეტის მქონე თვალსაჩინო აგრარიკოსი მეცნიერები, არამედ აშშ-ს, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების მევენახეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც ადასტურებენ.

და ბოლოს ის, ვისაც საქართველოს აყვავება სურს, ისრაელისა და იაპონიის მსგავსად საქმით უნდა იჩენდეს ყურადღებას ნოვაციების დანერგვისადმი. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში დიდი ბერძენი ფილოსოფოსი ანტისფენი წერდა: „სახელმწიფოები მაშინ იღუპებიან, როცა კარგ ადამიანებს ცუდისგან ვერ არჩევენ“, ხოლო დიდი ილიას მიერ ამ გენიალურ სიტყვებს დასმულ ოქროს ბეჭედს აწერია: „ღონე ქვეყნისა მხოლოდ ნიჭიერი და მხნე კაცია“. ისიც ხომ ცხადზე უცხადესია, დიდი ქართველი მწერალი რომ ბრძანებს: „საქართველოში ყველაფერს გააპატიებენ ნიჭის გარდაო“.

ჰოდა, თუ ჩვენი ქვეყნის სათანადოდ განვითარება მართლაც გვსურს, ნიჭიერებაც უნდა დავუფასოთ და ვაპატიოთ ეს მათ, ვინც ამას იმსახურებს.

**ჭაბუა ამირეჯიბი; რეზო ჩხეიძე; გურამ ბენაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი; **გოგი გვასალია**, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი; **ნოდარ კობერიძე,** მწერალი, ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი; **ლევან ტაბიძე,** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; **ოთარ ჯიქია,** ეკონომიკის აკადემიური ხარისხის დოქტორი; **გიორგი ციციშვილი,** პროფესორი; **ვახტანგ სამხარაძე,** საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; **გიორგი კვესიტაძე,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

პრობლემა

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# შხამხამლია თუ არა სურსათი?

## საქართველოში სურსათის უვნებლობა არ კონტროლდება და მომხმარებელთა ჯანმრთელობა მუდმივ საფრთხეშია

***იმისთვის**, რომ მაღაზიებში შეძენილი კვების პროდუქტით მოწამვლის არ გვეშინოდეს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სურსათის უვნებლობას სახელმწიფო აკონტროლებს. მავანმა შეიძლება თქვას – რა საჭიროა კიდევ რაღაც კონტროლი, გამყიდველმა ხომ იცის, რომ თუ მოიწამლე, უჩივლებ და მაღაზიას კომპენსაციას გადაახდევინებ, და გიჟი ხომ არ არის, უვარგისი პროდუქტი მოგყიდოსო. თან მედიაც ისეთ ამბავს ატეხს, რომ მაღაზია დასახური გაუხდებაო. მოკლედ, გაუმარჯოს კაპიტალიზმს – თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია თვითონ არეგულირებს ყველაფერს და ნუ გააწყალეთ გული ამ სახელმწიფო ჩარევებითო.*

კარგი, ბატონო, თუ მოვიწამლე (და არ მოვკვდიძ – მართლა ვიჩივლებ და, თუ მოთმინება მეყო, ერთი-ორი წლის შემდეგ კომპენსაციას მივიღებ. მაგრამ სურსათის მავნეობა მარტო იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იგი მაშინვე გწამლავს? გაცილებით უარესია მავნე სურსათი, რომელიც ერთბაშად კი არა, ნელნელა, შეუმჩნევლად, შეფარულად, დღეების და თვეების განმავლობაში გიუარესებს ჯანმრთელობას. ასეთ შემთხვევაში რა უნდა ვქნათ? ვის ვუჩივლოთ? ვინ უნდა დაგვიცვას ასეთი სურსათისგან? – აი, ასეთი სურსათისგან მომხმარებლის დაცვა უნდა აიღოს თავის თავზე სახელმწიფომ.

მავანი ისევ გვეტყვის, რა გინდათ კაცო, ხანდახან ხომ დადის სურსათის უვნებლობის სამსახური და ატარებს მაღაზიების მონიტორინგს, მეტი რა ქნასო. ჯერ ერთი, ეს მონიტორინგი ძირითადად რატომღაც ალკოჰოლურ სასმელებს უტარდება. მეორეც – მაღაზიებში შერჩევითი ყიდვით მავნე პროდუქტის აღმოჩენა და მაღაზიისთვის თითის დაქნევა – მეტი არ გაბედოო, დანარჩენ სურსათს უვნებელს არ ხდის. თან პროდუქტში მავნე კომპონენტების უმეტესობის აღმოჩენა რთულ ლაბორატორიულ კვლევებს მოითხოვს და რისკი იმისა, რომ მავნე საქონელი შემმოწმებელს უბრალოდ გამოეპაროს, ძალიან დიდია. ამიტომ სურსათის უვნებლობის კონტროლის ერთადერთ ეფექტურ და ქმედით საშუალებად მთელს მსოფლიოში საბოლოო პროდუქტის კი არა, ამ პროდუქტის შექმნის პროცესის (წარმოების, გადამუშავების, გადაზიდვისძ კონტროლი ითვლება.

ასეთი კონტროლის აპრობირებული მეთოდი კი სახელმწიფო მოხელის მიერ შესაბამისი საწარმოს მოულოდნელი ინსპექტირებაა. აი, ეს არ ხორციელდება საქართველოში.

არა, კანონში კი დევს, მაგრამ ხელისუფლება სულ იმას გაიძახის – ჯერ არა, ჯერ არაო; ბიზნესი შეწუხდებაო, პროდუქტი გაძვირდებაო.

მოკლედ, ჯერ განვვითარდეთ და მერეო(?!ძ.

კი, ბატონო, შემოწმებები არავის უყვარს, მაგრამ საგადასახადო ინსპექცია ხომ არ გაუუქმებიათ მაგ მიზეზით – მეწარმე წუხდებაო? რატომ? იმიტომ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება უფრო მნიშვნელოვანია თურმე, ვიდრე მეწარმის შეწუხება.

ჰოდა აბა, რა გამოდის, მომხმარებლის ჯანმრთელობა და მისი ოჯახის ბიუჯეტი ნაკლებად მნიშვნელოვანია?

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი**

***P. S.** ა.წ. 22 დეკემბერს, 12 საათზე თბილისში, დიუმას ცენტრში, გაიმართება სადისკუსიო სემინარი საქართველოში სურსათის უვნებლობის თემაზე. სემინარის ორგანიზატორია საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი. დასწრება თავისუფალია. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ ტელეფონებზე 250711 ან 399019.*

## გაბაზრებული ეკონომიკა

***დახედავს მკითხველი ამ მყვირალა რუბრიკას და უნებლიეთ გაიფიქრებს — ავტორს უთუოდ სიტყვა შეეშალა — გაბაზრებული კი არა, ალბათ, „საბაზრო ეკონომიკა" უნდა დაეწერაო. სამწუხაროდ, არაფერი შემშლია, რადგან ამჯერად, სწორედ რომ, გაბაზრებულ დარგთან — სამგზავრო ავტოგადაზიდვებთან გვაქვს საქმე, რომელიც, თავისთავად, ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. ვამლაშებ? კი, ბატონო, მოდით, ერთად ვიმგზავროთ ავტობუსით ბათუმიდან თბილისამდე და უკან. მერწმუნეთ, საკამათოც არაფერი იქნება.***



# ბათუმიდან თბილისისკენ (ან – პირიქით) მიმავალო მგზავრო...

## რამდენი რამ სტკივა და რამდენი ვინმე წოვს სისხლს ჩვენს ავტოსადგურებს



### ბათუმის ავტოსადგური

**ეს ნაგებობა გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენდა კამუნისტური საზომითა და გემოვნებით, არცთუ ურიგოდ.** სამწუხაროდ, დღეს იმ შენობიდან სახურავიღა დარჩა შეურყვნელი, სხვა დანარჩენს, ავტოსადგურის ძველი და ახალი ვერცხლის მოყვარული ხელმძღვანელობის პირდაპირი თუ ირიბი თანხმობით, შეესივნენ ბიზნესმენ-ბარბაროსები, ზოგან ამოაშენეს, ზოგან გადატიხრეს ისე, რომ არავის გახსენებია პროექტის ავტორი, მის თანხმობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

შედეგად სოკოებივით მომრავლდა უსახური მაღაზია-დახლ-ჯიხურ-კაფე-სასადილოები. თვალსა და ხელს შუა გაქრა მგზავრთა მოსაცდელი დარბაზები, საბილეთო სალაროები, დედათა და ბავშვთა ოთახი, მძღოლთა და ტრანზიტულ მგზავრთა მოსასვენებელი ოთახები (ცნობისთვის, ბათუმი-თბილისის და, პირიქით, თბილისი-ბათუმის რეისი მძღოლთათვის ორდღიანია. შესაბამისად, ბათუმელი მძღოლი ღამეს თბილისში, ხოლო თბილისელი ბათუმში ითევს. ორივეგან ავტოსადგურებს მძღოლთა მოსასვენებელი ოთახები კაი ხნის გაუქმებული აქვთ. მძღოლები იძულებულნი არიან, ღამე მანქანებში გაითიონ, დროის გასაყვანად და გასახალისებლად „ზომიერი გადაკვრა" არახალია. მეორე დღეს ხაზზე გასული არასრულყოფილი დასვენებისა და წინა ღამის მსუბუქი სიმთვრალის გამო რომელიმე იმათთაგანი ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილედ თუ იხილოთ, ნუ შეიცხადებთძ, ავტობუსში ჩასასხდომი ბაქნები ჩახერგილია რამდენიმერიგიანი უსახური დახლებით.

აქვე, თუ კარგად დააკვირდებით, შეიძლება პრიმიტიულ ჯიხურებში საბილეთო სალაროებსაც გადაეყაროთ. აქ ენით აუწერელ ანტისანიტარიის პირობებში ყიდულობენ და ყიდიან ყველაფერს,— იქნება ეს ქარხნული წარმოების გადამუშავებული სურსათი თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სამრეწველო საქონელი, შხამქიმიკატები და მინერალური სასუქები. ერთი სიტყვით, ტიპური აღმოსავლური ბაზარია, მისი ყველაზე ჩრდილოვანი გამონათებებით.

უბედურება კი ისაა, რომ მთელი ეს „სიკეთე" ავტოსადგურის პირდაპირი დანიშნულების, სერვისის ხარჯზეა. მგზავრი აქ ბილეთის შეძენამდეა სასურველი პერსონა, შემდეგ კი კისერიც უტეხია.

### ხაზი

**დღეისათვის ბათუმის ავტოსადგურის ხაზში „ჩაჯდომის" რამდენიმე სქემა არსებობს.** პირველი — ადრე, „კარგ დროში", ხელისუფლებაში მყოფ დიდ კაცზე გაწეული სამსახურის ან გაღებული ვერცხლის ფეშქეშია, მემკვიდრეობით. მეორე — სადგურის ამჟამინდელი მესვეურების „ცნობილი გზებით" კეთილგანწყობის მოპოვება (ნატურალიზაციაძ. მესამე — ე.წ. „ბაბუინებს" კარგ დროში გაჩალიჩებული ხაზი ინგლისური „დამპალი დაბების" დარად (XVIII-XIX საუკუნის ინგლისის პარლამენტში წარმომადგენლის ყოლის უფლება განსაზღვრული მინიმალური ოდენობის მამულების მფლობელ ლორდებს ჰქონდათ იმისდა მიუხედავად, რამდენად დასახლებული ან შემოსავლიანი იყო ეს მამული. მოხერხებულებმა კანონი სათავისოდ გამოიყენეს. ისინი თითქმის მუქთად (ვერცხლი იქაც ჭრიდაძ იძენდნენ დაჭაობებულ, დამპალ და უკაცრიელ მიწებს, რისი წყალობითაც პარლამენტში ადგილი, ხშირად რამდენიმე, გარანტირებული ჰქონდათძ დღესაც „პალატენიაში" ამყოფებს.

კერძოდ, ისინი „უხაზო" ავტომფლობელებზე აქირავებენ (250-300 ლარიძ თვიურად ან წილში უჯდებიან, — ამონაგების ერთი მესამედი ყოველ გზაზე, — ცხოვრება საამურია. ავტოსადგურის დირექციას კი სირაქლემას პოზა უჭირავს. მარშრუტზე მანქანა მძღოლითურთ პერიოდულად ჩატარებული კონკურსით რომ უნდა ვლინდებოდეს, ეს ბათუმელი ავტოგადამზიდველებისთვის დღემდე ტაბუდადებული თემაა.

### თბილისის ხაზი

**ავტოსადგურს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები არა აქვს.** თითოეული სამარშრუტო ხაზი სახელშეკრულებო ან კერძო მფლობელობაში მყოფი მანქანებით კომპლექტდება. ჩვეულებრივ ისინი ევროპიდან შემოტანილი მეორადი ავტომანქანებია, საშუალო ასაკით 15-18 წელი, რის გამოც მათ უმეტესობაში მგზავრის მიპატიჟება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია, აღარაფერს ვამბობ რისკებზე, ამორტიზაციის ყველა ნორმის ამოწურვის გამო თითოეულ მგზავრს დამოკლეს მახვილივით რომ ემუქრება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საკონკურსო შერჩევაზე აქ დროს არ ხარჯავენ. სამაგიეროდ დირექტორის და მისი მოადგილის შეხედულებით, მოარულ ხმებს თუ ვენდობით, 1500-დან 3000 დოლარის საფასურად (ხაზის მიხედვითძ, უსასრულოდ იზრდება მარშრუტის შიგნით ავტობუსების რაოდენობა. ვერსიის გასამყარებლად თბილისის ხაზი გამოდგება. დღეისათვის ამ მარშრუტზე მარტო ბათუმის ცენტრალური ავტოსადგურიდან 40 მიკროავტობუსი და 16 ავტობუსი მოძრაობს (ცნობისათვის: 5 წლის წინათ მათი რიცხვი შესაბამისად 20 და 10 იყოძ. ხაზის უკიდურესი გაჯერებულობის გამო მანქანა ცვლაში ყოველ მეოთხე დღეს გადის. ჯამში თვეში შვიდი გზა გამოდის. პრაქტიკულად 2-თვიანი ზაფხულის საკურორტო სეზონის გარდა, ორი გზა — ადრე დილით და გვიან საღამოს — მგზავრების არყოფნის გამო ვერ სრულდება. შედეგად მანქანა თვეში ხუთ გზას (ზამთარში ოთხიც სანატრელიაძ ასრულებს. აღწერილი სიხშირით ავტობუსის დატვირთვა მესაკუთრისათვის არარენტაბელურია, რის გამოც მძღოლი იძულებულია, ე.წ. „ხიშნიკად" გავიდეს ხაზზე, რომელიც წინ უდგება გრაფიკით მოძრავ მანქანას და „ახევს" მგზავრს. ავტობუსისათვის გზაში ყოველი მგზავრის მოძიება წინ მიმავალი მანქანისთვის გადასწრების ფასად ხერხდება. ასეთი ჯირითი კი არც თუ იშვიათად ფატალურად მთავრდება.

### წილი, ხარკი

**მომსახურებისთვის თავისი მანქანებიდან ავტოსადგური 10 პროცენტს იღებს, ე.ი. თუ მანქანაზე სალარომ 200 ლარის ბილეთები გაყიდა, 20 ლარი ავტოსადგურისაა.** ეს შინ, თორემ უკანა გზაზე იგივე 200 ლარის გაყიდულ ბილეთზე თბილისის ავტოსადგურები უცხო მანქანებისაგან 40 ლარს იჯიბავენ. შესაბამისად ბათუმის ავტოსადგური თბილისის მანქანებს მომსახურებისათვის 20-პროცენტიანი განაკვეთით ხარკავს. დისკრიმინაციის კლასიკური სქემა აშკარაა, ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცე კი ჩვენებური ავტოგამზიდავების ხელში ფიქციაა. ჩრდილნათელის მიუხედავად, ზემოთ თქმული მაინც გაცხადებული გადასახადების კატეგორიას მიეკუთვნება. პრაქტიკაში კი მყარად მოქმედებს დაუწერელი გადასახადების კასკადი, რომელთა დალექვის მისამართის ამოცნობას დიდი თავისტეხა არ სჭირდება. ბათუმის ავტოსადგურის ხაზის მანქანა, გარდა გაცხადებულისა, ყოველთვიურად ე.წ. „ბებმისათვის" (არადა, საბებმო ეკონომიკამ კაი ხანია მოგჭამათ ჭირიძ 150 ლარს იხდის, პლუს ხაზზე თითოეული გასვლის წინ წვრილმანი ხარკის სახით უხდის თითო ლარს დისპეტჩერს, მექანიკოსს, მოლარეს, ექიმს, რადიოკვანძს, მოძრაობის მომწესრიგებელს, პარისკაცს და სხვა ჯანდაბებს. ჯამში 7-8 ლარი. დაბეგვრის მარცხენა სქემის გაცნობამ უნებლიეთ ცხადი გახადა მარშრუტზე მანქანების პერმანენტული ზრდის საიდუმლოება. უბრალო არითმეტიკაა — ხაზზე მეტი მანქანა მეტი შემოსავალია ხელმძღვანელთა ჯულაბებში.

### სეტერები

**ეს სიტყვა ახალია ქართულ მგზავრგადაზიდვაში. თბილისში, დიდუბეში, ამჟამად „პრიხვატიზებულ" კომუნისტური ბიოგრაფიის მქონე ავტოსადგურ „დიდუბის" მოპირდაპირე მხარეს, გასული საუკუნის მიწურულს ამოქმედდდა კერძო ავტოსადგური „ოკრიბა".** ამ უკანასკნელში მგზავრთათვის შედარებით უკეთესი გარემოა და ბილეთის საფასურიც „ქრისტიანულია". სიკეთე არასაკმარისი რეკლამის გამო შემთხვევით მგზავრთათვის (ასეთები მგზავრთა მთელი ნაკადის ნახევარზე მეტია) უცნობია. ავტოსადგურ „დიდუბის" ბიზნეს-მამებმა კონკურენტის გასანეიტრალებლად, სხვა რომ ვერაფერი მოიგონეს, საქმეში „სეტერთა" ჩართვა გადაწყვიტეს, რისთვისაც სადგურის პერიმეტრში (საერთოა „დიდუბისა" და „ოკრიბასათვის") გადმოისროლეს „თანამედროვე ყივჩაღთა" ურიცხვი დესანტი, რომელთა გამაყრუებელი მიპატიჟება, — „ხუთ წუთში ბათუმი-ქობულეთი გავდივართ! ქუთაისი გავდივართ! ზესტაფონი სტარტზეა!"... და მოჩვენებითი თავაზიანობა (ხელბარგის ავტობუსამდე მიტანა და მანქანაში ჩალაგება, რაშიც მძღოლი სეტერს დამატებით მგზავრზე ლარს უხდის) მგზავრს არჩევანის საშუალებას არ აძლევს.

ესეც თქვენი გაბაზრებული ეკონომიკა.

### ეპილოგის მაგიერ

**მგზავრებზე ჩასაფრება და თქვენი კომპანიის ავტობუსში მისი ერთჯერადი შეტყუება ვერ აქცევს თქვენს ბიზნესს წარმატებულად, რამეთუ „შეიძლება ადამიანთა ნაწილი ყოველთვის ატყუო, ან შეიძლება ყველა მოატყუო მცირე დროით, მაგრამ ვერ შეძლებ, მოატყუო ყველა ყოველთვის" (აბრაამ ლინკოლნი).** წარმატებისა და განვითარების ერთადერთი ფორმულა პატიოსანი ბიზნესი, მაღალი ხარისხის სერვისი და ზომიერი ფასებია, რისი მოცემაც კონკურენტულ გარემოს ძალუძს. მაქინაციებით „პრიხვატიზებულ" მონოპოლიასა და სასათბურე გარემოს კი მომავალი არ უწერია.

**ვახტანგ მართალიშვილი**

---

## პოზიცია

# ვან ბაიბურთი: არ მინდა, ერთი ეკლესიის გამო კონფლიქტი გამწვავდეს ქართველებსა და სომხებს შორის, ეს ამად არ ღირს!

(მესამე გვერდიდან)

ვიცი, რომ არც ქართული ეკლესია არ არის კონფლიქტის მომხრე, უწმინდესი და უნეტარესი ილია II უჯავრდება ხოლმე მამა ტარიელს. მე მაინც მგონია, რომ ეკლესიის საკითხს მოაგვარებს ორივე თანამოძმე სომეხი და ქართული ეკლესია.

**— მაგრამ თუ პრობლემამ უკვე პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა, მერე რისი იმედი გაქვთ?**

— არც იოცნებონ. პროვოკაციებს არ ავყვეთ. მტრები ოცნებობენ, ერთმანეთს წაგვკიდონ, მაგრამ ეს არ უნდა დავუშვათ.

**— როცა საუბარია სამცხე-ჯავახეთის ავტონომიაზე, თქვენ იცით ქართველებს ამის რა მწარე გამოცდილება გვაქვს?**

— რომელ ავტონომიაზე, თქვენ გჯერათ, რომ სომხები სამცხე-ჯავახეთის ავტონომიას მოითხოვენ? იქ არის ათამდე პროვოკატორი, რომელიც ამას გაჰყვირის.

საქართველოს აქვს კანონი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ავტონომიაზე მეტია.

**— არ არის ავტონომიაზე მეტი. ხელისუფლება ცენტრისტულია...**

— 20 წელზე მეტია საქართველო გადარჩენისთვის იბრძვის, ამ ეტაპზე ეს საუკეთესო გამოსავალია, ამ მონაკვეთში მმართველობის ეს სისტემა გამართლებულია.

**— რაც შეეხება გზას, რომელსაც შიშით შეჰყურებს ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი...**

— ეს გზა არ არის ახალი. ის არსებობდა საუკუნეების განმავლობაში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეს გზაც მოიშალა, დაინგრა. ამ გზის რეკონსტრუქციაზეა ახლა საუბარი. ამბობენ, ეს გზა რუსებს სჭირდებოდათო. რუსებს რად უნდათ ეს გზა, მათთვის არსებობს ბომბდამშენი. რუსეთიდან გოდერძის უღელტეხილამდე 7-10 წუთის ფრენაა საჭირო.

ამ გზით გადავლენ სომხები ბათუმში და სეპარატიზმს იქადაგებენო. რა, ახლა არ შეუძლიათ?

თქვენს გაზეთში იყო სტატია გადმობეჭდილი „ნოვაია ვერსიიდან", თითქოს 1948 წელს ანასტას მიქოიანმა ურჩია სტალინს, რომ სომხებისთვის გადაეცათ აჭარა, რათა საქართველოს გავლით მიეცა გზა შავ ზღვამდე. ეს ხომ სისულელეა. მიქოიანი იყო პიროვნება, რომელსაც თავის ჩრდილის ეშინოდა. ის თვითონ ბევრჯერ ყოფილა დასახვრეტთა სიაში. ის გაბედავდა და სტალინს ასეთ რამეს შესთავაზებდა? ეს არის ტიპური, კლასიკური, რუსული ილეთი. მათ უნდათ ეს სომხებმა და ქართველებმა დაიჯერონ, ამ ანკესზე წამოეგონ, თვითონ კი გულში სიხარულით იცინონ, და უყურონ, ერთმანეთს როგორ დავერევით. არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა დავუშვათ!

**ესაუბრა თეა მოსია**

№ 236. ხუთშაბათი, 18 დეკემბერი, 2008 წელი.

**დამტკიცებულია**
**შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“**
**2008 წლის 12 დეკემბრის პარტნიორთა კრების ოქმით**

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

# „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“

# დებულება

**მუხლი 1. დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

1.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლო“.

1.2 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, არბიტრი – შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“ დირექტორის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დანიშნული პირი (პირები), რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა.

1.3 საარბიტრაჟო კოლეგია – კონკრეტული საქმის განმხილველი არბიტრი, ან არბიტრთა სამწევრიანი შემადგენლობა.

1.4 საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე – საქმის განმხილველი არბიტრი ან სამწევრიანი საარბიტრაჟო კოლეგიის წევრთა მიერ სხდომის თავმჯდომარედ არჩეული პირი.

1.5 კანონი – „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.6 კანონმდებლობა – საქართველოს კანონმდებლობა.

1.7 დავა – ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა ან დაექვემდებარა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს.

1.8 მხარეები – პრეტენდენტი (საარბიტრაჟო პრეტენზიის აღმძვრელი პირი) და მოპასუხე (რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე).

1.9 მესამე პირი – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით საქმეში ჩართული დაინტერესებული პირი, რომლის უფლება-მოვალეობებსაც შეიძლება რომ შეეხოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება.

1.10 მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით – დაინტერესებული პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო პრეტენზიას დავის საგანზე და რომელიც სარგებლობს ამ დებულებითა და „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით პრეტენდენტისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით და ეკისრება ყველა მოვალეობა, რაც გათვალისწინებულია პრეტენდენტისათვის.

1.11 მტკიცებულება – ნებისმიერი მონაცემი (წერილობითი, ზეპირი და სხვა.), რომლებზეც მხარეები და მესამე პირები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

1.12 საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა.

1.13 საარბიტრაჟო შეთანხმება – მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმება, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის საარბიტრაჟო წესით განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ. ამასთან, საარბიტრაჟო შეთანხმების, როგორც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილის ნამდვილობა დამოკიდებული არ არის თვით ამ ხელშეკრულების ან მისი კონკრეტული ნაწილის (ნაწილების) ნამდვილობაზე.

1.14 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები – არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები;

1.15 არბიტრაჟის ხარჯები – სარეგისტრაციო მოსაკრებელი, საარბიტრაჟო მოსაკრებელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და დავის განხილვასთან, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

1.16 სარეგისტრაციო მოსაკრებელი – მოსაკრებელი, რომელსაც იხდის პრეტენდენტი არბიტრაჟში გამარტივებული წარმოების წესით გადახდის ბრძანების მიღების, საარბიტრაჟო პრეტენზიის ან უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისას, საქმის განხილვის დაწყებამდე;

1.17 საარბიტრაჟო მოსაკრებელი – მოსაკრებელი, რომელიც გადაიხდება წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით განცხადებაზე გამარტივებული წარმოების წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ, პროტესტზე გადახდის ბრძანების გაუქმების შესახებ, საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, განცხადებაზე გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, განცხადებაზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ, საჩივარზე, პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

1.18 არბიტრაჟის გარეშე ხარჯები – ადვოკატისათვის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საქმის განხილვისათვის მხარეთა მიერ გაწეული სხვა აუცილებელი ხარჯები.

1.19 დებულება – შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“ დებულება.

1.20 რეგისტრატორი – საქმის განხილვის მიმდინარეობისას სხდომის ოქმის შემდგენელი პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით ინიშნება შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“ დირექტორის მიერ.

**მუხლი 2. ზოგადი დებულებანი**

2.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელშეკრულების მხარეთა შორის წამოჭრილ ქონებრივ დავებს განიხილავს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.

2.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, მუდმივმოქმედი არბიტრაჟისათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

2.3 დავის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) უფლებამოსილია განახორციელოს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით და ამ დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი პროცედურული მოქმედება.

2.4 მხარეები საქმის წარმოებას იწყებენ დებულებაში და „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმე დაამთავრონ მორიგებით, პრეტენდენტს შეუძლია უარი თქვას პრეტენზიაზე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

2.5 საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2.6 საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად საარბიტრაჟო კოლეგიას შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2.7 ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვისათვის მიღების საკითხს, მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე წყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.

2.8 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით წყვეტს ამ დავის განმხილველი არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია). მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის და უფლებამოსილების შესახებ, არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) გამოაქვს ცალკე გადაწყვეტილება, რომლითაც საქმის ცნობს დასაშვებად, იღებს განხილველად და ნიშნავს არსებითად განხილვის თარიღს. საჭიროების შემთხვევაში არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

2.9 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში ეს დებულება განიხილება როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. დებულებით მოუწესრიგებელი (გაუთვალისწინებელი) პროცესუალური საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას) თავისი ინიციატივით ან რომელიმე მხარის მიმართვის საფუძველზე.

2.10 თუ მხარეთა შორის არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება, რომ მათ შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა განიხილოს და გადაწყვიტოს არბიტრაჟმა, მიიჩნევა, რომ არბიტრაჟის კომპეტენციის ან უფლებამოსილების საკითხის გადასაწყვეტად ისინი არ მიმართავენ სასამართლოს ან სხვა ორგანოს.

2.11 მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ჰყავს შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“ დირექტორის მიერ დანიშნული რეგისტრატორი, რომელიც საქმის განხილვის მიმდინარეობისას ადგენს სხდომის ოქმს.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა.**

3.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის წევრებს (არბიტრებს) ნიშნავს შპს „დამოუკიდებელი საარბიტრაჟო სასამართლოს“ დირექტორი თავისი ბრძანებით, რომელიც იმავდროულად მათთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

3.2 არბიტრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს. არბიტრად დანიშვნაზე იგი იძლევა წინასწარ წერილობით თანხმობას.

3.3 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი საქმეს განიხილავს ერთი არბიტრის მონაწილეობით, ან კოლეგიურად – სამი წევრის შემადგენლობით, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. საარბიტრაჟო კოლეგია, არაუგვიანეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, ირჩევს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს, ამასთან, თუ საარბიტრაჟო კოლეგიაში მონაწილეობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, იგი იმავდროულად წარმოადგენს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს.

3.4 არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) თავისი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით.

3.5 არბიტრის შეცვლის შემთხვევაში მის ნაცვლად დაინიშნება საარბიტრაჟო კოლეგიის ახალი წევრი.

**მუხლი 4. საქმის განხილვიდან არბიტრის აცილება**

4.1 საარბიტრაჟო კოლეგიის წევრები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ მხარეთაგან და ნებისმიერ მესამე პირთაგან.

4.2 საქმეში მონაწილე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრაჟის წევრის აცილება, თუკი არსებობს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ან სხვა გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრაჟის წევრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, აგრეთვე, თუ არბიტრაჟის წევრი არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას.

4.3 მხარე, რომელსაც სურს არბიტრის აცილება, ვალდებულია ამის შესახებ წარადგინოს წერილობითი განცხადება 10 დღის ვადაში, იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა. თუ აცილება განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვითონ ეს არბიტრი. თუ აცილება განუცხადეს საარბიტრაჟო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი წევრები ასაცილებელი წევრის მონაწილეობის გარეშე. თუ აცილება განუცხადეს საარბიტრაჟო კოლეგიის მთელ შემადგენლობას ან მის უმრავლესობას, აცილების საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო კოლეგიის სრული შემადგენლობა. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში არბიტრი (საარბიტრაჟო კოლეგია) ვალდებულია დააკმაყოფილოს არბიტრის (საარბიტრაჟო კოლეგიის) აცილების მოთხოვნა.

4.4 არბიტრი შეიძლება აცილებულ იქნეს თუ:

ა) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურეა;

ბ) სასამართლო განაჩენით მსჯავრდებულია განზრახი დანაშაულის ჩადენაში და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა;

გ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად ან წარმომადგენლად;

დ) არის მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა;

ე) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს;

ვ) თუ არსებობს სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.

4.5 მხარის განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება**

5.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

5.2 არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს სარეგისტრაციო მოსაკრებელი, საარბიტრაჟო მოსაკრებელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და დავის განხილვასთან, აგრეთვე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.3 არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს შეადგენს ადვოკატისათვის, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საქმის განხილვისათვის მხარეთა მიერ გაწეული სხვა აუცილებელი ხარჯები.

5.4 საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი.

5.5 სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის;

ბ) შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიის;

გ) მესამე პირის მიერ შეტანილი საარბიტრაჟო პრეტენზიის, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების;

ე) გადახდის ბრძანების გაუქმების შესახებ პროტესტის;

ვ) გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების;

ზ) საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების;

თ) საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ საჩივრის რეგისტრაციისათვის.

5.6 სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა, 5.5 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა შეადგენს 150 ლარს, ხოლოდ „დ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – 100 ლარს.

5.7 სარეგისტრაციო მოსაკრებელი, მხარეთა მორიგების ან საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში უკან არ ბრუნდება.

5.8 საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) მესამე პირის საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;

დ) განცხადებაზე გადახდის ბრძანების მიღების შესახებ;

ე) პროტესტზე გადახდის ბრძანების გაუქმების შესახებ;

ვ) განცხადებაზე გადაწყვეტილების განმარტების შესახებ;

ზ) განცხადებაზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ;

თ) საჩივარზე, პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

5.9 საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან და გარდა 5.8 მუხლის „ვ“, „ზ“ და „თ“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა შეადგენს:

ა) 10 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 10 001-დან 100 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს მიმატებული 10 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 4% დღგ-ს გარეშე;

გ) 100 001-დან 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 4 100 ლარს მიმატებული 100 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 3% დღგ-ს გარეშე;

დ) 500 001-დან 1 000 000 ლარამდე დავის საგანზე – 16 100 ლარს მიმატებული 500 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 2% დღგ-ს გარეშე;

ე) 1 000 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 26 100 ლარს მიმატებული დავის საგნის 1% დღგ-ს გარეშე.

5.10 5.8 მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე და ამავე მუხლის „თ“ პუნქტით გათვალისწინებულ საჩივარზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან და შეადგენს:

ა) 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 300 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 500 001-დან ზემოთ დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

5.11 5.8 მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს განსამარტავ საქმეზე გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 20%-ს დღგ-ს გარეშე.

5.12 5.6 მუხლით გათვალისწინებული მოსაკრებლის მინიმალური ოდენობაა არის 500 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო მაქსიმალური – 35 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

5.13 პრეტენდენტი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზიაში თვითონ განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება. თუ მის მიერ მითითებული ღირებულება აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს საარბიტრაჟო კოლეგია.

5.14 თუ ერთ პრეტენზიაში ან განცხადებაში გადახდის ბრძანების მიღების შესახებ, სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე რამდენიმე მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე და შესაბამისად ცალ-ცალკე დგინდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა.

5.15 დავის საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა საარბიტრაჟო პრეტენზია ან განცხადება გადახდის ბრძანების მიღების შესახებ.

5.16 თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის ან გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს საარბიტრაჟო კოლეგია, შემდეგ კი ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ან დამატებით გადახდევინება.

5.17 დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ბ) სპეციალისტების, ექსპერტებისა და თარჯიმნისათვის გაწეული ხარჯები;

გ) ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ე) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.

5.18 5.17 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტებით გათვალისწინებულ ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე. „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯები გადახდება წაგებულ მხარეს.

5.19 თუ მხარეთა შორის არ არის სხვაგვარი შეთანხმება, იმ მხარის მიერ გაწეული საარბიტრაჟო ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დაეკისრება მეორე მხარეს. თუ საარბიტრაჟო პრეტენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება პრეტენზიის იმ ნაწილის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

5.20 მხარეთა მორიგების შემთხვევაში პრეტენდენტს დაუბრუნდება საქმის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი ან შემდგომში გადასახდელი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 25%. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში პრეტენდენტს დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%.

5.21 არბიტრს (საარბიტრაჟო კოლეგიას), მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რის შესახებაც მხარემ უნდა წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის საფუძველი და წესი**

6.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და გადაეცეთ საქმის განმხილველ საარბიტრაჟო კოლეგიას. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში. საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე თანდართული საბუთები მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უნდა წარედგინოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მოპასუხე და მესამე პირიც (მათი არსებობის შემთხვევაში) არის საქმეში.

6.2 საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეთა სრულ დასახელებას და მათ საცხოვრებელ (იურიდიულ) მისამართს;

ბ) დავის საგნის მოკლე აღწერას;

გ) პრეტენდენტის მოთხოვნას;

დ) პრეტენზიის ფასს;

ე) კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზეც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ვ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ზ) არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტის შუამდგომლობებს.

6.2.1 საარბიტრაჟო პრეტენზიას უნდა დაერთოს ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელზეც ამყარებს პრეტენდენტი თავის მოთხოვნას და კავშირშია დავის საგანთან, ასევე, სარეგისტრაციო და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

6.3 საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის იურიდიულ მისამართზე, ან თვით მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას.

6.4 საარბიტრაჟო განხილვის ენა არის ქართული. მხარეს, რომელიც არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას, დაენიშნება თარჯიმანი, რომლის ხარჯებსაც გაიღებს თვითონ.

6.5 მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საქმეთა განხილვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.6 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სხდომები ღიაა. ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში სხდომა შეიძლება დაიხუროს. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად. არბიტრაჟს არ შეუძლია საქმე გადაწყვიტოს მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე თავს არიდებს ახსნა-განმარტების მიცემისათვის არბიტრაჟში გამოცხადებას.

**მუხლი 8. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა**

8.1 პრეტენდენტს შეუძლია, როგორც პრეტენზიის აღძვრისას, ასევე, მის აღძვრამდე, განცხადებით მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია პრეტენდენტს საჭიროდ.

8.2 განცხადება პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟის მიერ განიხილება მოპასუხისათვის შეუტყობინებლად, არაუგვიანეს განცხადების შეტანიდან მეორე დღეს.

8.3. პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც უნდა მიეთითოს თუ უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება იქნა გამოყენებული. გადაწყვეტილება ძალაში შედის და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

8.4 პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საარბიტრაჟო საჩივარი, რომელიც ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გამოტანილი გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს გადაწყვეტილება.

8.5 პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა შეადგენს სამ დღეს და ამ ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების მოპასუხისათვის გადაცემის დღიდან.

8.6 მხარის თხოვნით არბიტრაჟს შეუძლია პრეტენზიის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლა.

8.7 ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ პრეტენზიის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ნაცვლად, პრეტენდენტის თანხმობის შემთხვევაში, მათ მიერ შერჩეულ სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოს პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი თანხა, ან პრეტენდენტს შესთავაზოს სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიება.

8.8 საკითხს, იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს არბიტრაჟი მოპასუხის შეუტყობინებლად.

8.9 უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ) არბიტრაჟს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

8.10 არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს პრეტენდენტს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

8.11 თუ პრეტენზიის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ პრეტენდენტს უარი ეთქვა პრეტენზიაზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ არბიტრაჟმა გააუქმა უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა პრეტენზიის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებებით.

**მუხლი 9. უზრუნველყოფა პრეტენზიის აღძვრამდე**

9.1 პრეტენდენტს შეუძლია პრეტენზიის აღძვრამდე განცხადებით მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც განიხილება მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

9.2 განცხადების დაკმაყოფილებისა და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში არბიტრაჟი ვალდებულია თავისი გადაწყვეტილებით, პრეტენდენტს დაუნიშნოს გონივრული ვადა საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანისათვის, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები და 10 დღეზე მეტი. თუ დანიშნულ ვადაში პრეტენდენტი საარბიტრაჟო პრეტენზიას არ შეიტანს, არბიტრაჟს უფლება აქვს თავისი ინიციატივით, ან მოპასუხის შუამდგომლობით გააუქმოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

9.3 9.2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მიუხედავად, პრეტენდენტს უფლება აქვს საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის დროს ასევე მოითხოვოს იგივე ან სხვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

**მუხლი 10. საარბიტრაჟო განხილვისათვის საქმის მომზადება**

10.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე თანდართული საბუთების ასლები გაუგზავნოს მოპასუხეს (მოპასუხეებს). აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება არბიტრაჟის დებულება.

10.2 მოპასუხე ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებიდან 5 დღის ვადაში მუდმივმოქმედ არბიტრაჟს წარუდგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია ან განცხადება საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობის შესახებ. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში მხარეს უფლება არ ერთმევა, რომ თავისი მოთხოვნა და პოზიცია დააყენოს საქმის არსებითად განხილვის დროს.

10.3 არბიტრაჟი ვალდებულია მხარეს უწყებით (წერილობითი შეტყობინებით), დეპეშით, ფაქსით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (რაზედაც შესაძლებელია დასტურის მიღება) აცნობოს საარბიტრაჟო განხილვის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი (მისამართის მითითებით) სულ ცოტა 5 დღით ადრე. საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირდეს მხარეთა თანხმობით. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ანდა იურიდიულ მისამართზე.

10.4 საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. არბიტრაჟს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება ან/და საარბიტრაჟო პრეტენზია (თანდართულ საბუთებთან ერთად) შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც არბიტრაჟმა დაავალა უწყების და/ან საარბიტრაჟო პრეტენზიის (თანდართულ საბუთებთან ერთად) მიტანა, ვალდებულია დაუბრუნოს არბიტრაჟს მისი მეორე ეგზემპლიარი მიმღების ხელმოწერით.

10.5 თუ უწყების მიმტანმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელსაც შეუძლია უწყება გადასცეს ადრესატს. ასეთ შემთხვევაში, უწყების მეორე ეგზემპლარზე გარკვევით უნდა მიეთითოს, თუ ვის ჩაბარდა უწყება (სახელი, გვარი), აგრეთვე, ადრესატთან მისი დამოკიდებულება (მეუღლე, დედა, მამა, შვილი, მეზობელი და ა.შ).

10.6 თუ ადრესატი დროებით წასულია, უწყების ჩამბარებელმა პირმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს სად არის წასული ადრესატი და როდის მოელიან მის დაბრუნებას.

10.7 თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე პრეტენდენტი, მოპასუხე ან მესამე პირი, არბიტრაჟს შეუძლია უწყება და საქმის სხვა მასალები ჩააბაროს ერთ-ერთ პრეტენდენტს, მოპასუხეს ან მესამე პირს, მის მხარეზე მონაწილე სხვა პირებისათვის გადასაცემად. პირი, რომელსაც ჩაბარდება უწყება და საქმის სხვა მასალები ვალდებულია გადასცეს შესაბამის ადრესატებს. ამ წესით უწყების ან საქმის სხვა მასალების ჩაბარება ნიშნავს შესაბამის მხარეს მონაწილე ყველა პირისათვის ჩაბარებას.

10.8 თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, ამის შესახებ უწყების მიმტანი აკეთებს სათანადო აღნიშვნას და უბრუნებს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ითვლება ჩაბარებულად და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

10.9 თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია უწყება საჯარო შეტყობინების გზით გამოაქვეყნოს ბეჭდვით ორგანოში. ამ შემთხვევაში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

10.10 მხარეები და მათი წარმომადგენლები ვალდებულნი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობების უქონლობის შემთხვევაში უწყება იგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

10.11 იგივე წესით ხდება არბიტრაჟში მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნების მოწვევა.

10.12 არბიტრაჟს შეუძლია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და გამოითხოვოს მტკიცებულებები. თუ მოწმის გამოცხადება ან მტკიცებულების გამოთხოვა შეუძლებელია ნებაყოფლობით, არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოწმის გამოცხადების ან მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ.

10.13 არბიტრაჟს შეუძლია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი რომელიმე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. არბიტრაჟის უარი ექსპერტის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს. არბიტრაჟი ვალდებულია დანიშნოს ექსპერტი, თუ ამას მოითხოვს ორივე მხარე. ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის გასაზიარებლად.

10.14 არბიტრაჟს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

10.15 თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 10.3-10.10 მუხლებით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მისი დასწრების გარეშე.

10.16 თუ საქმის განხილვაზე არ გამოცხადდება არცერთი მხარე არბიტრაჟი გამოიტანს გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შესახებ.

**მუხლი 11. მხარეთა უფლებები**

11.1 მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ ,კერძო არბიტრაჟის შესახებ'' საქართველოს კანონით და ამ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

11.2 პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს საპრეტენზიო მოთხოვნების ოდენობა.

11.3 საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.

11.4 საარბიტრაჟო პრეტენზიის შეცვლად არ ჩაითვლება პრეტედენტის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

11.5 დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს.

11.6 მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

11.7 ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

11.8 ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

11.9 ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

11.10 მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებილი ყველა მოქმედება ინარჩუნებს ძალას.

11.11 წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც არბიტრაჟს, ისე თავის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან/და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი.

11.12 საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე პრეტენდენტის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) საპრეტენზიო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) საპრეტენზიო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

11.13 თითოეული მხარე პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

11.14 თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

11.15 თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის (საქმის) წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ან/და მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

11.16 თუ არბიტრაჟი საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია პრეტენდენტის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი პრეტენდენტი სათანადო პრეტენდენტით, თუ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

11.17 თუ სათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო პრეტენდენტი, ან არასათანადო პრეტენდენტი არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო პრეტენდენტით, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო პრეტენდენტს პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

11.18 თუ შეცვლილ სათანადო პრეტენდენტსა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე თანახმა არ არის მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

11.19 თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მას შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

11.20 თუ პრეტენდენტი არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პრეტენდენტს საარბიტრაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

11.21 თუ პრეტენდენტსა და სათანადო მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და სათანადო მოპასუხე არ არის თანახმა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

**მუხლი 12. საქმის განხილვის გადადება, წარმოების შეჩერება**

12.1 საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს მხარის ორჯერ საპატიო გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ ან სხვა აუცილებლობისას. არბიტრაჟს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა საქმის განხილვის გადადების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გადადების საშუალებას არ იძლევა საქმის განხილვისათვის ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი ვადა.

12.2 საარბიტრაჟო კოლეგია ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა, რომ ერთ-ერთი მხარე ქმედუუნაროა და მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. საარბიტრაჟო განხილვა განახლდება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ.

გ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი პრეტენდენტის თხოვნით. საქმის განხილვა განახლდება ამ გარემოების აღმოფხვრის შემდგომ.

ამ მუხლის ,,ა'' პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება საქმიდან გასული პირის უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო ,,გ'' პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში — სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

**მუხლი 13. საქმის წარმოების დამთავრება დავის არსებითად გადაწყვეტის გარეშე**

13.1 არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი პირის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

13.2 არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვებს საარბიტრაჟო პრეტენზიას, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება;

ბ) საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა პრეტენდენტი, ხოლო მოპასუხე თანახმაა საარბიტრაჟო პრეტენზია განუხილველად იქნეს დატოვებული;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადდა;

დ) სხვა არბიტრაჟის წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

ე) პრეტენდენტმა საარბიტრაჟო პრეტენზიაში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

13.3 საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში პრეტენდენტს უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს საარბიტრაჟო პრეტენზია ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

**მუხლი 14. არბიტრაჟის გადაწყვეტილება**

14.1 არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. მხარეთა მორიგების შემთხვევაში არბიტრაჟის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს მორიგების აქტის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

14.2 არბიტრაჟში გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრით. არბიტრაჟის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. არბიტრაჟის წევრს შეუძლია ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვება საქმეს.

14.3 გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

ა) გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადგილს, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას და საქმის განმხილველი საარბიტრაჟო კოლეგიის შემადგენლობას;

ბ) საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი მოქმედებდა;

გ) მხარეთა დასახელებას;

დ) დავის საგანს;

ე) სამოტივაციო ნაწილს, მასში გადმოცემული იმ მოსაზრებებით, რომელთა საფუძველზეც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს ასეთი სამოტივაციო ნაწილის არარსებობას;

ვ) არბიტრაჟის გადაწყვეტილებას (საარბიტრაჟო ხარჯის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ჩათვლით);

ზ) გადაწყვეტილების აღსრულების ვადას;

თ) იმ არბიტრის ვინაობას, რომელმაც უარი განაცხადა გადაწყვეტილების ხელმოწერაზე.

14.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერს არბიტრაჟის ყველა წევრი. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეთ მხარეებს და იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის. გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.

14.5 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

14.6 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შეინახოს მათი მიღებიდან 20 წლის განმავლობაში.

**მუხლი 15. გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოება**

15.1 მხარეთა შეთანხმებით, გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით განიხილება და გადაწყდება მოთხოვნები ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ.

15.2 გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოება არ დაიშვება თუ:

ა) მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე;

ბ) ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მხარეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

15.3 გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოების საფუძველია დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც წარედგინება არბიტრაჟს გადახდის ბრძანების მისაღებად.

15.3.1 განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

ბ) მხარეების (განმცხადებელი, მოვალე) დასახელებასა და რეკვიზიტებს;

გ) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;

დ) მონაცემებს ვალდებულებისა და მოთხოვნების შესახებ:

ე) განცხადების ფაქტობრივ დასაბუთებას;

ვ) მითითებას, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრიდან რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე ან/და რომ ასეთი შესრულება უკვე განხორციელდა;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას.

15.3.2 განცხადებას თან უნდა ახლდეს სარეგისტრაციო და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ქვითრები და დანართში მითითებული დოკუმენტები.

**მუხლი 16. გადახდის ბრძანება**

16.1 არბიტრაჟი გამოსცემს გადახდის ბრძანებას განცხადების წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

16.2 გადახდის ბრძანება შეიცავს:

ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

ბ) ბრძანების მიღების დროს და ადგილს;

გ) მხარეების დასახელებასა და რეკვიზიტებს;

დ) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;

ე) მონაცემებს ვალდებულებისა და მოთხოვნების შესახებ;

ვ) განმცხადებლის მოთხოვნის ფაქტობრივ დასაბუთებას, მტკიცებულებების მითითებით;

ზ) მითითებას, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრიდან რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე ან/და რომ ასეთი შესრულება უკვე განხორციელდა;

თ) მითითებას, რომ არბიტრაჟს არ შეუმოწმებია აქვს თუ არა გაქარწყლებული განმცხადებელს მოთხოვნის უფლება;

ი) მითითებას, რომ არბიტრაჟის მიერ გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში დაფაროს ვალი ხარჯებთან ერთად, თუკი მოპასუხე განმცხადებლის მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს, ან შეიტანოს არბიტრაჟში წერილობითი პროტესტი, თუ მას მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიაჩნია;

კ) მითითებას, რომ გადახდის ბრძანების იძულებითი აღსრულებისათვის გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, თუ მოპასუხე არბიტრაჟში არ წარადგენს თავის წერილობით პროტესტს გადახდის ბრძანებასთან დაკავშირებით, მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

16.3 გადახდის ბრძანება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და გაეგზავნოს მოპასუხეს და იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გამოტანილ იქნა იგი. გადახდის ბრძანებასთან ერთად მოვალეს გადაეცემა დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

**მუხლი 17. მოპასუხის პროტესტი**

17.1 მოპასუხეს შეუძლია გადახდის ბრძანების წინააღმდეგ არბიტრაჟში შეიტანოს წერილობითი პროტესტი მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს თუ ამას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

17.2 პროტესტი უნდა შეიცავდეს მითითებას:

ა) გარემოებებზე, რომლებსაც ემყარება მოვალის პოზიცია განცხადებისა და გადახდის ბრძანების წინააღმდეგ.

ბ) მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება ეს გარემოებები;

გ) დამოკიდებულია თუ არა განმცხადებლის მიერ აღძრული მოთხოვნა მისი მხრიდან რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე;

დ) არსებობს თუ არა გარემოებები რომელთა გამო გაქარწყლებულია უფლება მოთხოვნაზე.

17.3 პროტესტს თან უნდა ახლდეს სარეგისტრაციო და საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ქვითრები და დანართში მითითებული დოკუმენტები.

17.4 თუ მოპასუხე დროულად შეიტანს თავის პროტესტს არბიტრაჟში, დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განიხილება და გადაწყდება საარბიტრაჟო წარმოების საერთო წესით.

**მუხლი 18. გადახდის ბრძანების აღსრულება**

18.1 თუ მოპასუხე გადახდის ბრძანების წინააღმდეგ არ შეიტანს პროტესტს არბიტრაჟში დებულების მოთხოვნათა დაცვით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, არბიტრაჟი გასცემს სააღსრულებო ფურცელს გადახდის ბრძანების იძულებითი აღსრულების შესახებ.

**მუხლი 19. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და აღსრულება**

19.1 მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობისას, მხარეს უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე პუნქტის შინაარსის დაზუსტების მიზნით მოსთხოვოს არბიტრაჟს გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის განმარტება.

19.2 არბიტრაჟი განმარტების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში იძლევა განმარტებას ან გამოაქვს გადაწყვეტილება განმარტებაზე უარის თქმის შესახებ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება წარმოადგენს განსამარტავი გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს.

19.3 მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს დაშვებული შეცდომის გასწორება, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს გაანგარიშებაში, ხელნაწერში ან ბეჭდვაში.

19.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, აღსრულდება იძულებით არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. არბიტრაჟი სააღსრულებო ფურცელს გასცემს მხარის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მისი წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში.

19.5 სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხარის საჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას;

ბ) დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ,,კერძო არბიტრაჟის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესები;

გ) საქმესთან დაკავშირებით არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

19.6 გასაჩივრების შემთხვევაში, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება, თუ ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მხარეს.

**მუხლი 20. დასკვნითი დებულებები**

20.1 ეს დებულება უნდა დამტკიცდეს პარტნიორთა კრების მიერ და გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში.

20.2 დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა მოითხოვს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას და მის გამოქვეყნებას ბეჭდვით ორგანოში.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა საქართველო ბანტუსტანს გაუთანაბრა



**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ერთკვირიანი ვიზიტით გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გზად იგი შეჩერდა კიევში, სადაც მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში. ვაშინგტონში საქართველოს პარლამენტის ყოფილ სპიკერს ელის შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამთავრობო წრეებში.**

ექს-სპიკერის პრეს-სამსახურის ლაკონური ცნობები მისი შეხვედრების შესახებ ვაშინგტონში შეიძლება ნიშნავდეს: საქართველოს მთავარი მფარველი საერთაშორისო არენაზე აგრძელებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო შემცვლელების შესწავლას. სხვადასხვა შეფასებით, პოტენციური კანდიდატების სიას სათავეში უდგანან ნინო ბურჯანაძე და გაეროში საქართველოს ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია. მაგრამ თუ ექს-სპიკერი სულ უფრო ხშირად ესხმის თავს ხელისუფლებას მწვავე კრიტიკით, ალასანია ამგვარ საქმეში ჯერჯერობით შემჩნეული არ არის. საუბარიც კი იმის შესახებ, რომ იგი სათავეში ჩაუდგება რესპუბლიკური პარტიისა და „ახალი მემარჯვენეების“ ოპოზიციურ ალიანსს, ჯერჯერობით არ დასტურდება – ცნობილია მხოლოდ კონსულტაციების შესახებ, მაგრამ არა ამ კონსულტაციების შედეგებზე, არამედ იმის შესახებ, რომ თავად ალასანია ჰპირდება კორესპონდენტებს თავისი პოლიტიკური გეგმების შესახებ უამბოს მხოლოდ თბილისში დაბრუნების შემდეგ. მისგან განსხვავებით ბურჯანაძემ ოპოზიციურ ბანაკში ერთი კვირის ვადაში უკვე მოასწრო რადიკალიზება და დაიწყო საუბარი ხელისუფლების რაც შეიძლება სწრაფად შეცვლის აუცილებლობაზე ვადამდელი არჩევნების გზით.

ყოფილი სპიკერის გამოსვლებისთვის საბაბად იქცა სოფელ პერევში რუსეთის ჯარების გაურკვეველი მოქმედების ისტორია. რუსებმა, როგორც ცნობილია, მოულოდნელად დატოვეს სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე სოფელი და როდესაც იგი ქართულმა პოლიციამ დაიკავა, ასევე მოულოდნელად დაბრუნდა იქ, აიძულა ქართველები უკან დაეხიათ. ბურჯანაძემ რუსეთის სამხედროების ერთი შეხედვით ირაციონალური მოქმედება განმარტა სააკაშვილის გამოსვლის რიტორიკით, რომელშიც ადგილი ჰქონდა მხედრულ განცხადებებს მოსკოვის მისამართით.

ერთკვირიანი ვიზიტის წინ ექს-სპიკერმა განავითარა თავისი აზრი: რუსეთის ჯარები იქ იქნებიან მანამ, სანამ სააკაშვილი უდგას ქვეყანას სათავეში. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მან უკვე დააყენა საკითხი პრეზიდენტის გამონათქვამებთან დაკავშირებით, რომლებიც მოსკოვს აღიზიანებს. „ხელისუფლებამ თავისი სისულელით დაუშვა ქვეყნის ოკუპაცია. ხელისუფლებამ თავისი სისულელით აიძულა პერევიდან გასული ჯარები უკან დაბრუნებულიყვნენ და იქ 50 ჯარისკაცის ნაცვლად უკვე იმყოფება 250 მედესანტე და შვეულმფრენები. ვითარება კიდევ უფრო დაძაბულია, ვიდრე გუშინ იყო. ეს მე საშუალებას მაძლევს განვაცხადო, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს ამგვარი სიტუაცია“. სააკაშვილისთვის, აღნიშნავს ბურჯანაძე, „ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთი საშუალება ქვეყანაში დრამატული ვითარების არსებობაა“.

მეთვალყურეები პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის გამოსვლების სიმკაცრეს უკავშირებენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სენატორის, პრეზიდენტობის ექს-კანდიდატის ჯონ კერის ვიზიტს, რომელმაც გასულ უქმე დღეებში მოლაპარაკება გამართა როგორც სააკაშვილთან, ისე ოპოზიციის ლიდერებთან. და თუმცა თავად სენატორი თავს იკავებს კომენტარებისგან, თბილისში მიაჩნიათ, რომ ბურჯანაძეს შეეძლო მიეღო ერთგვარი წამახალისებელი სიგნალი აქტიური მოქმედებებისთვის. ყოველ შემთხვევაში, შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ჟურნალისტებთან აცხადებს, რომ საქართველოში შინაპოლიტიკური სიტუაციის განხილვის დროს მან „შენიშნა სენატორ კერის მხრიდან თანაგრძნობა“.

ის, თუ რა საიდუმლო ნიშნებს იძლეოდა ჯონ კერი, უცნობია, მაგრამ სააკაშვილის დამოკიდებულება არჩევნებთან არ შეცვლილა. ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს მან განაცხადა: „არსებობს სხვაობა სახელმწიფოსა და ბანტუსტანს და ბანანის რესპუბლიკას შორის. თუ გვსურს, რომ დაგვცინოდნენ და ყოველწლიურად ვატარებდეთ არჩევნებს ორჯერ და სამჯერ... მიიჩნიეთ, რომ ეს უკვე აღარ არის სახელმწიფო... არჩევნები კრიზისის დროს – ეს არის ფულის ხარჯვა არა ხალხისთვის, არამედ პოლიტიკისთვის... იმისთვის, რომ პარლამენტში მოვიყვანოთ კონკრეტული პოლიტიკოსები, ზოგიერთები კი – პრეზიდენტის პოსტისთვის მოვამზადოთ“.

მაგრამ ოპოზიცია, რომელიც ამჟამად ახდენს გადაჯგუფებებს, დარწმუნებულია წარმატებებში: გაზაფხულზე გაიმართება ვადამდელი არჩევნები. იმ დროისთვის, ოპოზიციის გაანგარიშებით, ხელისუფლება დაუშვებს კიდევ რამდენიმე სერიოზულ შეცდომას, სრულად გაკოტრდება და გამოიწვევს ხალხის მძლავრი პროტესტის ტალღას.

იური სიმონიანი

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

◎ გლობუსი

# ოპოზიციონერობა...

**გასულ კვირას სტოკჰოლმსა და ოსლოში გაიმართა 2008 წლის ნობელის პრემიის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალი.** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღირსეულმა წარმომადგენლებმა მოიპოვეს უდიდესი ჯილდო და სამარადისოდ უკვდავყვეს საკუთარი და ქვეყნის სახელი. გამარჯვებულთა შორის არის ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი მარტი აჰტისარი, რომელიც გაცილებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც მაღალი პოსტი დატოვა. მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე, მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული საკუთარ ქვეყნებში თანამდებობიდან გადამდგარი ან პენსიაზე გასული პოლიტიკოსებისა და დიპლომატების საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურებში გამოყენებას. ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო, სხვა ორგანიზაციები, წუთითაც არ აგვიანებენ და უმალ იწვევენ „ძველებს“ სამუშაოდ. მათი აზრით, ცოდნა და მრავალწლიანი გამოცდილება გადასაგდები არ არის. გაერომ არც ამჯერად უღალატა კარგ ტრადიციას აჰტისაარისთან მიმართებაში და ისიც მისთვის ჩვეული პუნქტუალობით შეუდგა მშვიდობის დესპანის საპატიო მოვალეობის შესრულებას. კოსოვოსთან მიმართებაში აჰტისაარის მიერ შემუშავებულმა გეგმამ თუ დასავლეთსა და აშშ-ს მხრიდან დიდი დაინტერესება და მხარდაჭერა გამოიწვია, რუსეთისა და სხვა ქვეყნების მხრიდან უკმაყოფილების თემად იქცა. აჰტისაარის გეგმა მრავალჯერ იყო განხილული და ბოლოს (მიუხედავად რუსეთის და სერბეთის წინააღმდეგობისა) მიღებული. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ კოსოვოს გეგმა იყო მთავარი მიღწევა ნობელის პრემიის მოპოვებისთვის.



არცთუ დიდი ხნის წინათ პოსტსაბჭოთა სივრცეში უსისხლო, დემოკრატიული რევოლუციის მოწყობისათვის ნობელის პრემიაზე მიხეილ სააკაშვილიც იყო წარდგენილი. წარმდგენნიც რესპექტაბელური ამერიკელი პოლიტიკოსები იყვნენ ჰილარი კლინტონი და ჯონ მაკქეინი. **მაშინ ნობელის პრემიის ჟიური, ამერიკელ პოლიტიკოსთაგან განსხვავებით, გაცილებით სერიოზულად მოეკიდა სააკაშვილისთვის პრემიის მინიჭების საქმეს, რითაც თავი გადაირჩინა შერცხვენისაგან, საქართველო კი გამარჯვებული ნობელიანტის მიერ უფრო მწარე გაროზგვისგან. ნობელის პრემიის მინიჭება, მისთვის ჩვეულ ვოლუნტარიზმსა და მიუნჰაუზენობას ახალ ალმაფრენას შესძენდა, რაც ცუდად იმოქმედებდა როგორც შინაურებზე, ისე გარეულებზე, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებზე. გადავრჩით. ისინიც გადარჩნენ. ამერიკის პოლიტიკამ ამ საკითხშიც კრახი განიცადა. საინტერესოა, რა აზრი აქვს აშშ-ს მომავალ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით? მოაწერს თუ არა ის ხელს სააკაშვილის ნობელის პრემიით დაჯილდოების შუამდგომლობას? ვეჭვობ, აგვისტოს მოვლენების შემდეგ მისი პოზიცია, ისე, როგორც სხვა ამერიკელი პოლიტიკოსის, უცვლელი დარჩენილიყო.**

ქვეყნის სიდიდის მიუხედავად, ლიდერობა საპასუხისმგებლო საქმეა. ის საჭიროებს სისტემატურ დაძაბულ შრომას, მუდმივ მობილიზებას, აწონილ-დაწონილ განცხადებებს და სხვა ისეთ საქმიანობას, რაც იოლად არ მისცემს ოპონენტს კრიტიკის საშუალებას. სამწუხაროდ, სააკაშვილმა შეგნებულად თუ შეუგნებლად, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა თავის თავს. სააკაშვილი, რომ მხოლოდ რიგითი მოქალაქე ყოფილიყო, რა უჭირს შეცდომა ყველას მოსდის, მაგრამ ის ქვეყნის არჩეული პრეზიდენტია, რაც მას უზომო პასუხისმგებლობას ანიჭებს. ქვეყნის პირველი პირის შეცდომა მძიმედ აისახება ქვეყანაზე.

**დასავლეთ ევროპამ ბევრი დრო მოანდომა სააკაშვილის პიროვნების შესწავლას. ამერიკელებმა ადრე გაიგეს მისი პერსონის შესახებ და ამიტომაც დაუჭირეს მხარი. მათ ხელს აძლევდათ დამჯერი პოლიტიკოსი, რომელიც ნებისმიერ დროს ხმალამოღებული ეკვეთებოდა კონკურენტ რუსეთს. ვაშინგტონს არ აღელვებდა გაუწონასწორებლობის საკითხი და მისი შედეგები საქართველოში. მისთვის მთავარი იყო რუსეთის პერმანენტული გამღიზიანებლის შექმნა. ასეა თუ ისე, ბუშ-სააკაშვილის მეგობრულმა ტანდემმა ჩაილურის წყალი დალია. ბუში პენსიაზე გადის, სააკაშვილს ბევრი უკლია პენსიამდე, მაგრამ მისი პოლიტიკური ბედი ჰაერში გამოკიდებულს ჰგავს. სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიერ „ნამოღვაწარი“ მომავალშიც მრავალჯერ იჩენს თავს. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ტრადიციიდან გამომდინარე, „ნამოღვაწარზე“ ლაპარაკი უფრო მეტად მაშინ დაიწყება, როდესაც პრეზიდენტი თანამდებობას დატოვებს, ანუ წესით 4 წლის შემდეგ. 4 წლის განმავლობაში მისი შემწუხებელი არც ხალხია და არც ოპოზიცია. ხალხმა, რაც ჩასადები იყო, ის ჩადო ერთი წლის წინანდელ გამოსვლებში – გული, სული, რევოლუციური შემართება, სააკაშვილის გაშვების სურვილი, რასაც მხარი არ აუბა ოპოზიციამ. ხალხი თვლის, რომ ოპოზიცია დღესაც იგივეს მოიმოქმედებს, ამიტომაც თავს ძალას არ ატანს. თუ რამის გაკეთება სურდა, ცხინვალის ცხელ დღეებში უნდა გამოეხატა, მაგრამ მან საწინააღმდეგო გზა აირჩია. 12 აგვისტოს ქვეყანა სააკაშვილთან გააიგივა, მისცა რა მას მტკიცე მანდატი ქვეყნის შემდგომი მართვისათვის, გარდა ამისა პატრიოტული ბლავილიც მორთო, იმღერა და იცეკვა.**

ოპოზიციამაც არ დააყოვნა, უმალ მხარში ამოუდგა ხელისუფლებას, მოტივით – აგრესორი საერთოაო. თუმცა იმთავითვე ცნობილი იყო აგრესორის შესახებ, მაგრამ მაშინ ოპოზიციას, პოლიტოლოგებს, მასმედიას სიმართლის თქმის შიში ჰქონდათ. 12 აგვისტოს ინტერვიუს დაწყებამდე ერთ-ერთი პოპულარული, ოპოზიციური გაზეთის ჟურნალისტმა მკაცრად გამაფრთხილა – სიმართლე ბოლომდე არ თქვა, სხვა დროაო. დღეს, ყველა ერთხმად გაიძახის იმას, რასაც დასავლეთი წერს. ზოგიერთები ციტირებას ახდენენ უცხოური სტატიების არა აზრის გასაძლიერებლად, არამედ თავის დასაზღვევად – მე კი არა, უცხოური გაზეთი ამბობსო. ის, ვინც სააკაშვილს აუგად ახსენებს, რუსეთსაც ლანძღავს, რაც საბოლოო ჯამში ქმნის მოსაზრებას, რომ სააკაშვილს არაფერი შეეძლო, გარდა იმისა, რომ თავდასაცავად თავდასხმაზე გადასულიყო. მსგავს ტაქტიკას ხშირად მიმართავენ ფეხბურთში, თუმცა იქ თამაში უსისხლოდ თავდება, პოლიტიკაში – სისხლით.

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. სააკაშვილის გუნდის აქტიური წევრები ყოფილი ბელადის ინტენსიურ გინებას იწყებენ. თუ ამდენი ბოლმა ჰქონდათ, რამ გააძლებინათ ერთად ამდენი წელი? საქართველოში ტრადიციადაა ქცეული ჭუჭყიანი საქმის ერთობლივი კეთების შემდეგ, თანამდებობიდან გათავისუფლებულთა პრესასთან გულახდილობა და ყოფილი ბელადის ჩაშვება. ასეთ დროს ადგილი არ აქვს მონანიებას. ნაბიჯი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებისათვის ნასროლი ისარია. მხოლოდ ოქრუაშვილს ეყო ვაჟკაცობა, ეღიარებინა შეცდომა. დანარჩენები: ს. ზურაბიშვილი, გ. ხაინდრავა ტელევიზიით იმას გვიმტკიცებდნენ, რომ ელოდებიან პრეზიდენტთან შეხვედრას. სინამდვილის დაჯერება უჭირდათ. პრეზიდენტთან შეხვედრით საკუთარი ბედის შებრუნების იმედი ჰქონდათ. მათდა სამწუხაროდ, შეხვედრა არ შედგა, რამაც განაპირობა ოპოზიციონერობა. **ბურჯანაძეც ისეთივე მოვლენაა, როგორც სხვა, იმ განსხვავებით, რომ „რბილად“ დაწყებული არასამთავრობო საქმიანობა, როგორც იქნა, აქტიურ ოპოზიციონერობაში გადაზარდა და კატეგორიულად მოითხოვა მომავალ გაზაფხულზე არჩევნების ჩატარება. აქამდე კი ის არათუ გააფთრებით იცავდა პრეზიდენტის მსუბუქ საქმიანობას, არამედ უფრო მეტს აკეთებდა სააკაშვილის ხელისუფლების გაძლიერებისთვის, აქედან გამომდინარე, ქვეყნის იმიჯის დაცემისთვის. ბურჯანაძე იყო კაბიანი**

წიგნი

# „ბოლო საფეხურზე“

**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმინდა სამების ტაძრის ქვედა დარბაზში) შედგა ია ბაგრატიონ-მუხრანელის წიგნის „ბოლო საფეხურზე“ საჯარო განხილვა.**

განხილვაში მონაწილეობდნენ სრულიად საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის, საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“, სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების წარმომადგენლები და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები — ფერეიდნელი ქართველი არია ხოსროშვილი, ამერიკაში მცხოვრები პიანისტი ეთერ ანჯაფარიძე და მრავალი სხვა მოღვაწე, მათ შორის მასპინძლები — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, მთავარეპისკოპოსი თადეოზი და ეპისკოპოსი სტეფანე. სტუმრებს შორის იყვნენ კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები, მათ შორის ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელი ხიზრი ალდამოვი.

წიგნის პრეზენტაციის დედააზრია: „ჟურნალისტი და მისი გმირები“, „მამული, ენა, სარწმუნოება, მეფე“.

წიგნს წინ უძღვის ავტორის ასეთი სიტყვები: „ჩემი ცხოვრების ჟურნალისტური მოღვაწეობის ამსახველ ამ მოკრძალებულ კრებულს ვუძღვნი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, საქრისტიანოს დიდ მნათობს, უწმინდესს და უნეტარესს, ქართველთა სულიერ მამას — ილია II-ს“.





განხილვის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს წიგნს, რომელიც წარმოადგენს თავისებურ მატიანეს და ენციკლოპედიას იმის შესახებ, რაზეც არ წერდნენ და ნაკლებად ლაპარაკობდნენ ჩვენი ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის 200 წლის განმავლობაში, და ასახავს საქართველოს უძველესი და უახლესი ისტორიის ბევრ უცნობ ფურცლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საღამოს მსვლელობის პროცესში მიღებულ იქნა შეკრებილი საზოგადოების მიმართვა „ქართველ ერს! საქართველოს ყველა ხალხს!“. ის შეიცავს ღრმა და ობიექტურ შეფასებას იმ საშიშროებებისა, რომლებიც ემუქრება ამჟამად ჩვენს სამშობლოს, და სთავაზობს ქვეყანას ხსნის გზებს...

— საქართველოში საკონსტიტუციო მონარქიის შემოღების შესახებ იდეით რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, — განაცხადა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა. — ამასთან გამოკითხვაც, რომელიც შარშან ჩაატარა ერთ-ერთმა ქართულმა პოპულარულმა გაზეთმა, გვიჩვენა, რომ თითქმის ნახევარი მოსახლეობა მომხრეა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის შეცვლისა კონსტიტუციური მონარქიით. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, მივცეთ მოწოდება ქართველი ერისადმი და საქართველოს ყველა ხალხებისადმი, მხარი დავუჭიროთ ჩვენი ერის სულიერ მამას და გავაძლიეროთ მონარქისტული მოძრაობა ჩვენს მრავატანჯულ სამშობლოში... მომავალი მეფე გახდება ჩვენი წმინდა მიწა-წყალზე ზნეობის, სიმტკიცისა და სტაბილურობის გარანტი...

საღამო საეკლესიო გალობებითა და საერო სიმღერებით კიდევ უფრო გაალამაზა ნიკო ბაგრატიონის სახელობის თბილისის სკოლა-ლიცეუმის ნორჩ აღსაზრდელთა გუნდმა, რომელმაც ხატოვნად წარმოაჩინა ქართული სულის სიწმინდე, ჩვენს ქვეყანაში ძმედითი გარდაქმნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღების საჭიროება.

**მამია ალაშვილი.**

**ავტორის ფოტო**

გლობუსი

# სამომავლოდ

**სააკაშვილი. დღეს ის უტიფრად აცხადებს, პრეზიდენტი და ხელისუფლება მთელს მსოფლიოში სახელს უტეხს საქართველოსო. არც ნოღაიდელი ინდობს ძველ ბელადს და არც კიწმარიშვილი. ჩასაძირად გამზადებული ხომალდიდან, კაპიტნის მიერ წყალში გადაყრილები, ისევ გემზე აძრომას ცდილობენ, ოღონდ სხვაზე. და რახან აშშ-ში ეჭვი გაჩნდა სააკაშვილის მიმართ და დაიწყო მისი სხვისით ჩანაცვლების პროცედურა — „აქ ვარ, აქ ვარ“ ძახილით დაოთხილი დარბიან ევროპა-ამერიკაში.**

**ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. მეც ვეთანხმები ამ მოსაზრებას ერთი განმარტებით. პოლიტიკა ბინძურია, ბინძური პოლიტიკოსების გამო, რასაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ასე მასშტაბურად, როგორც ჩვენში, ადგილი არა აქვს. იქ არც ისე ხდება, რომ 5-წლიანი ნეგატიური თამაშის შემდეგ, თამაშიდან დათხოვნილმა, საზოგადოებას თავი პოზიტიურად მოაჩვენოს და ყოველგვარი მონანიების გარეშე დიდ პოლიტიკაში დასაბრუნებელი ნაბიჯი გადადგას. მსგავსი მხოლოდ საქართველოში ხდება, სადაც საზოგადოებრივი მახსოვრობა ნულს უტოლდება. ახალი ოპოზიციონერი დღეს უკვე იმასაც იხსენებს, 7 აგვისტოს როგორ ჩაიტანეს ცხინვალის შემოგარენში პრეზიდენტის ტრიბუნა ტრიუმფალური გამარჯვების აღსანიშნავი სიტყვის წარმოსათქმელად. ჩაფიქრებული ტრიუმფი ჩაიშალა. უცხოელი ექსპერტები თავს იმტვრევენ იმის ამოხსნით, რა იყო 8 აგვისტო. ქართველი ოპოზიციონერები, მათ შორის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, საქმის გასარკვევად კითხვებსაც უგზავნის პრეზიდენტს. უმჯობესი იქნებოდა, თვით ბურჯანაძეს ეპასუხა თავისსავე დასმულ კითხვებზე.**

ისე, როგორც ყოველთვის, აქტიურია თავის მართლების თემაც. საქართველო არაფერ შუაშია, ომი რუსეთმა დაიწყო. ქართულ ვერსიას კაჭკაჭივით ამეორებინებენ დაქირავებულ უცხოელ ექსპერტებს, მათ შორის რუსებს. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის ყოფილი და გაგდებული მრჩეველი ილარიონოვი შესანიშნავად ასრულებს კაჭკაჭის როლს. **7 წელი ემზადებოდა რუსეთი საქართველოში შემოჭრისათვისო. საიდან ასეთი სიზუსტე? იქნებ შვიდ წელიწად ნახევარი? 6 თვეც ხომ დიდი დროა? სამხედრო თვალსაზრისით არცთუ ხელწამოსაკრავ ქვეყანას რაში სჭირდებოდა საქართველოსთან საომარად 7-წლიანი მზადება? პოლიტიკური თვალსაზრისით კი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას უხვად ჰქონდა ჩადენილი პროვოკაცია, რომელიც თავისთავად იძლეოდა სამხედრო პასუხის გაცემის შანსს. რუსეთმა დღენახევარში მოითავა საქართველოს შეიარაღებული ძალები და მეტი აღარ უცდია. არა იმიტომ, რომ შეეშინდა თბილისთან დაბანაკებული, ერაყიდან ჩამოყვანილი ჯარისკაცების, არამედ, უბრალოდ, მეტი არ გააკეთა.** სურვილის შემთხვევაში წინ ვერაფერი დაუდგებოდა. მით უმეტეს ხელისუფლება ახლობლებიანად სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე გასაქცევად ზედახორაზე იყო გადასული, რის მოწმეც პირადად გავხდი აზერბაიჯანიდან დაბრუნების დროს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროკავშირის კომისია ქალბატონი ტალიავინის ხელმძღვანელობით დაადგენს სინამდვილეს. მიუკერძოებლობის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას მძიმე დღე დაადგება, რაც ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხმა ისე, როგორც პოლონეთში, პერუში, ტაილანდში, ინდონეზიაში და სხვაგან თვითონ უნდა გადადგას ნაბიჯი, რაც საეჭვოა.

მას შემდეგ, რაც ნატომ „დაგვიქნია“, ქართულ საზოგადოებაში გააქტიურდა ნეიტრალიტეტსა და რუსეთთან შერიგებაზე საუბარი. უნებლიეთ იბადება კითხვა — ტერიტორიების დაკარგვა იყო საჭირო ამისთვის? მსგავსი პრიმიტივიზმით შეიძლება დაკარგულის დაბრუნება? ზოგი ძველებურად რიხით გაიძახის, ნატოში მაპის გარეშე მიგვიღებენო. ისე, როგორც გუშინ, აქტუალურია პუტინ-მედვედევის, სხვა რუსი პოლიტიკოსების, რუსეთის ლანძღვა-გინება. საინფორმაციო ვაკუუმში მოქცეულ საქართველოს კონტროლირებული ქართული ტელეკომპანიები მარჯვედ შელამაზებულ ცნობებს აწვდიან, რის მიხედვითაც რუსეთი სულს ღაფავს და დღეს თუ არა ხვალ გარდაიცვლება, რომ პუტინის საქმე ძალიან ცუდად არის და ა. შ. ცხადია, ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთზეც იმოქმედა, ის უფრო მომავალ წელს იჩენს თავს, მაგრამ არა იმ დოზით, რომ ქვეყანა საიქიოში გაისტუმროს. **რაც შეეხება პუტინს — მისი პოპულარობა ცხინვალის შემდეგ 90 პროცენტამდე გაიზარდა. ბი-ბი-სის მიერ 20 ქვეყანაში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით ცხინვალამდე პუტინმა 30 პროცენტზე მეტი ხმა დააგროვა და უკან ჩამოიტოვა ბრიტანეთის პრემიერი გორდონ ბინაური და ჩინეთის ლიდერი ჰუ ძინტაო. პუტინის რეიტინგმა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში 45 პროცენტს მიაღწია, რაც ხელწამოსაკრავი არ არის.**

მოვლენები გვიკარნახებს სხვაგვარ მოქმედებას, ტყუილის, ფსევდოპატრიოტიზმის გარეშე საქმის კეთებას. ასეთ ვითარებაში თითოეული სიტყვა სიმართლეს უნდა ასახავდეს და არა სიყალბეს, რაც დანიშვნიდან პირველ წუთსავე ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გვაუწყა. **საქართველოს რუსეთთან ყოველთვის თავაზიანი დამოკიდებულება ჰქონდაო. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. თავაზიანი დამოკიდებულების შედეგად ომი არ იწყება. მინისტრმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ მისი თუნდაც სახლში ნათქვამი სიტყვა სხვაგვარად აღიქმება, მით უმეტეს საჯაროდ, ტელეკამერების წინ. ნამდვილ პოლიტიკოსთა დევიზი იყო და არის — ჯერ ფიქრი, შემდეგ სიტყვა. სწორედ ამ მარტივი ჭეშმარიტების დაუცველობა იწვევს პოლიტიკურ გაუგებრობას.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**

**პოლიტოლოგი.**



ინფორმაცია

## მოსკოვი აფხაზეთს მომავალშიც პირდება დახმარებას

**მოსკოვი** უახლოეს მომავალში სამხედრო და საზღვრის დაცვის სფეროში სოხუმთან თანამშრომლობის ხელშეკრულებებს გააფორმებს.

როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ამის შესახებ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ე.წ. ელჩმა სემიონ გრიგორიევმა განაცხადა. მისივე თქმით, რუსეთი აფხაზეთს მომავალშიც აღმოუჩენს ყველანაირ დახმარებას.

მან სერგეი ბაღაფშისთვის რწმუნებათა სიგელების გადაცემას ისტორიული მოვლენა უწოდა.

გრიგორიევმა განაცხადა, რომ აფხაზეთში რუსეთის საელჩოს შენობის მშენებლობას, დაახლოებით, ორი წელი დასჭირდება.

მისივე თქმით, რუსეთში აფხაზეთის ელჩი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელებს 2009 წლის დასაწყისში გადასცემს.

## განმუხურელებს შვეიცარიელებმა ფული გამოუყვეს, ჩვენები არ აძლევენ

**სამეგრელო-ზემო სვანეთის** ადმინისტრაციის შენობასთან ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურის მოსახლეობა საპროტესტო აქციას მართავს.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, შვეიცარიულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მათთვის გამოყო ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელიც ჯერაც არ მიუღიათ.

## რუსეთში განთავსებულ სამხედროებს აფხაზები იწვევენ

**სეპარატისტული** აფხაზეთის ხელისუფლება რუსული არმიის რეფორმირების შედეგად უმუშევრად დარჩენილი რუსი სამხედროების აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებულ ძალებში სამუშაოდ მიწვევას აპირებს.

იქ მათ შეამცირებენ ჩვენ კი მათ მივიღებთ, მივცემთ ბინებს და მათ გამოცდილებას დავაფასებთ, — აცხადებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში და დასძენს, რომ მართალია აფხაზეთი ყველა შემცირებაში მოყოლილი ყველა რუსი სამხედრო მიღებას ვერ შეძლებს, მაგრამ რამდენიმე მათგანზე უარს რა თქმა უნდა არ იტყვის.

შეგახსენებთ, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გლობალური რეფორმის ჩატარება იგეგმება. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში უნდა შემცირდეს დაახლოებით 140 ათასი რუსი სამხედრო.

ამასთან ერთად, სერგეი ბაღაფში ამ საკითხზე საუბრისას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებული ძალები ამჟამად სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან.

ხოლო თუ ვინმეს ეგონა, რომ 4 ათასი რუსი სამხედროს აფხაზეთში მოსვლის შემდეგ ჩვენი არმია იარაღს ჩააბარებდა და განზე გადგებოდა მათი მოლოდინები არ გამართლდა. ჩვენ დაახლოებით 5-ათასიანი არმია და მესაზღვრეთა ჯარი გვყავს. ყველა ძალოვანი ამჟამად გადართულია საზღვრის დაცვაზე, ხოლო, როდესაც სახელმწიფო საზღვარზე სიტუაცია დალაგდება ჩვენ იქ დაახლოებით 1500 სამხედროს დავტოვებთ, — აცხადებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი

# სეზონის ბოლო „სამშაბათობა“



**ექტორ რაულ კუპერის მიერ დამკვიდრებული „სამშაბათობა“ წლეულს უკანასკნელად გაიმართა საგურამოში განთავსებულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში. ამჯერად „ჯვაროსანთა“ არგენტინელმა თავკაცმა საქმეში ის მოთამაშეები ნახა, ვისთანაც აქამდე შეხება არ ჰქონია:** დავით გამეზარდაშვილი (სკონტო), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი), ნუკრი მანჩხავა (კაუნასი), მირზა ბუალავა (ლუშტენაუ), გივი კვარაცხელია (მტზ – რიპო), გიორგი განუგრავა (ბოლესლავი), დავით დევდარიანი (ორჰუსი) და დიმიტრი ტატანაშვილი (პლზენი). რაც შეეხება კიდევ ერთ გამოძახებულ ლეგიონერს დავით მუჯირს, მან ტრავმის გამო ვერ ივარჯიშა.

წვრთნის დასრულების შემდეგ სამხრეთამერიკელმა სპეციალისტმა განაცხადა: „ბუნებრივია, ერთი ვარჯიშით ფეხბურთელთა შესაძლებლობებზე სრული წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. რაც მთავარია, ბიჭები მონდომებულნი არიან და მათში ენთუზიაზმი დავინახე, ეს კი ძალიან მახარებს. ყველაფერს დრო სჭირდება და ნაკრებში არსებული პრობლემები თანდათან აღმოიფხვრება. ამ ვარჯიშებს იმიტომ ვატარებთ, რომ კიდევ უფრო დავიხვეწოთ. მსურს, სრულიად საქართველოს დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო“.

გუშინ გამთენიისას კუპერი სამშობლოში გაემგზავრა და ჩვენს ქვეყანაში 6 იანვარს დაბრუნდება.

დავძენთ, რომ სეზონის დასკვნით „სამშაბათობას“ კახი ცხადაძე ესწრებოდა, რომელიც 21 წლამდე ასაკის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლება.

კალათბურთი

# ახალი სპონსორი



**ლუდსახარშ „ნატახტრის“ მფლობელი თურქული კომპანია „ეფესი“ საკალათბურთო ევროლიგის 2008-2009 წლების სეზონის ოფიციალური სპონსორი გახდა.**

შეგახსენებთ, რომ მის გარდა, ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს მფარველობას ნაიკი, გუჯელი, იუნისეფი, სპორტინგბეთი და ჯიენტო უწევენ.

„ჩვენ ყოველთვის აქტიურად ვუჭერდით მხარს მსოფლიოში სპორტის განვითარებას. 1976 წელს დაარსებული კომპანიის პრიორიტეტს კალათბურთის განვითარებისთვის ხელშეწყობა წარმოადგენდა“ – ეს სიტყვები „ეფესის“ კომერციულ დირექტორს იუქსელ გოქბულუთს ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ „ეფესს“ ბიზნეს-საქმიანობა 50-მდე ქვეყანაში აქვს გაშლილი. იგი სიდიდით მე-5 ლუდსახარშია ევროპაში და მე-15 – მსოფლიოში.

გარდა კალათბურთისა, თურქული კომპანია ფეხბურთს, მუსიკას, თეატრსა და კინოს ეხმარება. მის წარმომადგენელთა ინფორმაციით, „ეფესი“ მომავალშიც ითანამშრომლებს საკალათბურთო ევროლიგის ორგანიზატორებთან.

მძლეოსნობა

# ვაჟებმა იყოჩაღეს



**აზერბაიჯანის დედაქალაქში დამთავრდა 1992-1993 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში საქართველოს ოთხი წარმომადგენელიც მონაწილეობდა – ორი გოგონა და ამდენივე ვაჟი.** სამძიდში (60 და 400 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა) ზუგდიდელმა ბაჩანა ხორავამ პირველი ადგილი დაიკავა, ოზურგეთელი ნიკა კარკაცევი კი კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა. ჩვენები გუნდურ ჩათვლაშიც მეორენი იყვნენ, იმის მიუხედავად, რომ გოგონები საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდნენ.

ჰოკეი

# ჩემპიონებს — „მერსედესები“

**ჰოკეიში 2008 წლის მსოფლიო ჩემპიონებმა, რუსეთის ნაკრების წევრებმა მიიღეს ავტომანქანები „მერსედეს-Benz“. დაჯილდოების ცერემონია გაიმართა „ლუჟნიკების“ მცირე სარბიელზე.** არენაზე იდგა 28 კრიალა ავტომანქანა. პახმუტოვას სიმღერის „ჩვენი სიჭაბუკის გუნდი“ ჰანგებზე დარბაზში შემოვიდნენ მოთამაშენი, მწვრთნელები, მომსახურე პერსონალი. უჩვენეს კვებეკში ფინალური მატჩის მომენტები, როდესაც რუსებმა კანადელები დამატებით დროში დაამარცხეს – 5:4.



ცერემონიას ესწრებოდა რუსეთის სპორტის ხელმძღვანელობის მთელი ელიტა.

სპეციალისტების შეფასებით „მერსედეს-Benz“ S-221 ღირს 150 000 ევრო.

ახალი მანქანები მიიღეს ჰოკეისტებმა, მწვრთნელებმა, მენეჯერმა, ექიმებმა, მასაჟისტმა, პრესატაშემ და ა. შ.

სამთო თხილამურები

# ქალებს ცდიან ქართველებიც

**ევროპაში კარგა ხანია, სამთო-სათხილამურო სეზონი ძალაში შევიდა. სხვადასხვა სახეობაში უამრავი შეჯიბრება იმართება. მოასპარეზეთა შორის ქართველებიც არიან. 20 წლის იასონ აბრამიშვილმა, რომელსაც ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის გამოცდილებაც აქვს, ბორმიოში „სიტიზენის“ ეგიდით გამართულ შეჯიბრებაზე გიგანტურ სლალომში მეორე ადგილი დაიკავა – ავსტრიელ პეტერ კროპფს მცირედით ჩამორჩა.**



სათხილამურო ტურნირებში, აბრამიშვილის გარდა, მონაწილეობენ კოტე ვახტანგიშვილი, ალექსი ბენიანიძე, ვახტანგ თედიაშვილი, ჯაბა გელაშვილი, ნიკოლოზ ჯალაღონია და ნინო წიკლაური. თუმცა, საპრიზო ადგილებს მათგან ჯერჯერობით ვერავინ შესწვდა.

ინტერნეტიდან

## ფიფას პრეზიდენტის გარანტიით

**მსოფლიო ფეხბურთის შტაბის – ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გადაჭრით აცხადებს, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი აუცილებლად გაიმართება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და არა რომელიმე სხვა ქვეყანაში.**



„თუ კიდევ ვინმეს ეჭვი ეპარება, მათ გასაგონად ვიტყვი, რომ არ არსებობს „B“ ან „C“ გეგმა. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება“, – იმოწმებს ბლატერის სიტყვებს იტარ-ტასი.

წლეულს ზაფხულში ბლატერი უშვებდა ჩემპიონატის გადატანის შესაძლებლობას. თუკი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ამისთვის ვერ მოემზადებოდა, ალტერნატიულ ვარიანტებად იყვნენ აშშ, იაპონია, ინგლისი, მექსიკა და ესპანეთი. მაგრამ ფიფას პრეზიდენტმა აზრი შეიცვალა, როცა დარწმუნდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამ ქვეყნის სათანადო სამზადისში.

„ძალზე ბედნიერი ვარ, მსოფლიო ჩემპიონატი ბოლოს და ბოლოს აფრიკაში რომ გაიმართება. ამაზე 30 წელზე მეტ ხანს ვოცნებობდი“, – თქვა ბლატერმა. ის ხომ ფიფაში 1975 წლიდან მუშაობს.

თუ ჩემპიონატის გატანის საკითხი დაიხურა, ისევ მწვავე პრობლემად რჩება ჩემპიონატის დროს უსაფრთხოების დაცვა, სამხრეთ აფრიკაში ხომ დამნაშავეობის ძალზე მაღალი დონეა. ქვეყნის მთავრობა 115 მილიონის გამოყოფას აპირებს, რათა მსოფლიო პირველობაზე რაიმე განსაკუთრებული არ მოხდეს.

## კალათბურთელი გაამინისტრეს

**როგორც იტყობინებიან, აშშ-ს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა სამშაბათს შეავსო სახელმწიფო პოსტზე დასანიშნთა სია. სხვებთან ერთად დაინიშნა განათლების მინისტრიც. ამ საპატიო თანამდებობას დაიკავებს არნი დანკანი. 2001 წლიდან ის სათავეში ედგა საშუალო სკოლების სისტემას ჩიკაგოში, ქვეყანაში სიდიდით მესამე ქალაქში.**



ცნობილია, რომ დანკანი არის ობამას ახლო მეგობარი, ისინი ერთად თამაშობდნენ კალათბურთს. ფიქრობენ, რომ დანკანის კანდიდატურას მხარს დაუჭერენ საგანმანათლებლო სკოლების რეფორმის მომხრეები. აგრეთვე მასწავლებელთა პროფკავშირები, რომელთაც თვალსაჩინო ადგილიც უჭირავთ დემოკრატთა საარჩევნო ბაზაზე.

ადრე ამ თანამდებობაზე მოიაზრებოდა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ბუშის ადმინისტრაციაში კოლინ პაუელი, რომელიც ახლანდელ არჩევნებში ობამას უჭერდა მხარს. ახლა პაუელი ახლო აღმოსავლეთში სპეცწარმომადგენლად მოიაზრება.

## ყველას მოეწონებოდა?!

**თუმცა ასე მიაჩნია პოპულარულ არგენტინელ მოდელს, ყოფილ ჩოგბურთელს ვიქტორია ვანუჩის, თავისი მდიდრული ფორმები ერთხელ კიდევ რომ „წარუდგინა“ ფოტოგრაფებს ჟურნალისთვის Maxim. „ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი გამოცემებისთვის გადაღება, – თქვა ლამაზმანმა, – იმედი მაქვს, რომ ყველას მოვეწონები“.**



მართალია, ჩოგბურთელის კარიერა მისთვის დიდხანს არ გაგრძელებულა ჩოგნის დიდებულ ოსტატთა ქვეყანაში, მაგრამ თავისი კვალი მაინც დატოვა როგორც პოპულარულმა მოდელმა.

„მემილებდნენ „პლეიბოისთვის“, ვპოზიორობ „მაქსისთვის“, – აცხადებს ვიქტორია, – ეს კი ჩემთვის დიდი სიამოვნებაა“.

თარიღი

# ტენორების ალღუმი დიდი ტენორის პატივსაცემად

## გამოჩენილი მომღერლის ალეკო ხომერიკის საიუბილეო საღამო კონსერვატორიის დიდ დარბაზში

**„საათები მიდიან, დღეები მირბიან, წლები მიქრიან“ – ჩინური ნაღვლიანი სენტენცია უნებურად გამახსენდა გამოჩენილი ქართველი მომღერლის ალეკო ხომერიკის საიუბილეო საღამოზე.**

**დიახ, ძვირფას ალეკოს, რომლის საოპერო დებიუტსაც შორეულ 1977 წელს მე წერილით გამოვეხმაურე ჩვენს გაზეთში, თურმე 60 წელი შესრულებია.**

**რამდენი რამ მოასწრო მან განვლილი წლების მანძილზე: იგი საქართველოს სახალხო არტისტი, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის, პ. ჩაიკოვსკის VII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა, წლების მანძილზე თბილისის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი, ბათუმის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და სოლისტი იყო. მოვლილი აქვს საზღვარგარეთის მრავალი საოპერო სცენა, დღეს კი საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის ვოკალური კათედრის პროფესორია.**

...ვიგონებ ალეკოსთან შეხვედრების დაუვიწყარ ეპიზოდებს.

**კონსერვატორიის** მეორე სართულზე მიმავალს (ალბათ, 1976 წელსძ უცებ ერთ-ერთი კლასიდან შემომესმა... მარიო დელ მონაკოს ხმა, რომელიც ასრულებდა ხოზეს არიას „კარმენიდან“. უნებურად შევჩერდი და მივუგდე ყური. არია დამთავრდა, შევაღე კარი, ჩემ წინ წარმოდგა პროფესორი გიორგი გოგიჩაძე და თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი ლამაზი ახალგაზრდა. – კი, მაგრამ სადაა დელ მონაკო? – ვიკითხე. აი, ისიც, ღიმილით მიპასუხა ბატონმა გიორგიმ და ხელი ახალგაზრდისკენ გაიშვირა.



სულ მალე მოწმენი გავხდით ალეკოს ბრწყინვალე საოპერო დებიუტისაც (მაშინ ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი იყოძ, რასაც მოჰყვა ტრიუმფული გამოსვლები ლამის მთელ სატენორო რეპერტუარში. რომელი ერთი ჩამოვთვალო...

განსაკუთრებით კი ალეკოს დავუახლოვდით 1993 წლიდან, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა ბათუმის საოპერო თეატრს. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს იყო ქართული საოპერო კულტურის ნამდვილი რენესანსი (თანაც რა დროს!ძ და რა დასანანია, რომ მუსიკის ეს დიდებული, ბრწყინვალე კერა ასე უგუნურად ჩვენივე ხელით ჩავაქრეთ.

ახლა კი მშვენიერი საიუბილეო საღამოს შესახებ, რომლის რეჟისორიც გახლდათ ქალბატონი მაია გაჩეჩილაძე, ხოლო წამყვანი – ქალბატონი ლია მიქაძე. იგი ცოცხლად, მაღალ მუსიკალურ დონეზე მიმდინარეობდა. იუბილარს დარბაზიდან მიესალმა ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, ხოლო ეკრანიდან – ბატონი ნოდარ ანდღულაძე, ეკრანიდანვე ძალზე გულთბილად ისაუბრეს ალეკოს შესახებ მისმა უფროსმა მეგობრებმა, დაუვიწყარმა ზურაბ ანჯაფარიძემ და გურამ ფანჯიკიძემ. ძალიან აგვაღელვა ა. ხომერიკის გამოსვლამ, მან მოიგონა ცხოვრებიდან ადრე წასული შესანიშნავი მომღერლები.

მრავალფეროვანი და საინტერესო იყო წმინდა მუსიკალური ნაწილი. ჯერ ერთი, ეკრანიდან მოვისმინეთ ახალგაზრდა ალეკოს ბრწყინვალე შესრულებით არია ჩილეას „არლელი ქალიდან“ და ფალიაშვილის უკვდავი „თავო ჩემო“, აგრეთვე დუეტები თავის ღირსეულ პარტნიორებთან – დაუვიწყარ მაია თომაძესთან (ვერდის „დონ კარლოსი“ძ და ელდარ გეწაძესთან (ვერდის „ოტელო“ძ ერთად.

გარდა ამისა, რაც მთავარია, ალეკო უშუალოდ, „ცოცხლადაც“ მოვისმინეთ. მან ჯერ ბიჭების ფოლკლორულ ანსამბლ „მძლევართან“ (ხელმძღვანელი – კახა ონაშვილიძ და ვოკალურ ანსამბლ „ბათუმთან“ (ხელმძღვანელი – თეიმურაზ დოლიძეძ ერთად იმღერა, ბოლოს კი – ცნობილ მომღერალ თემურ წიკლაურთან ერთად – აბესალომისა და მურმანის დუეტი და პოპულარული „მხოლოდ შენ ერთს“, რამაც დარბაზის აღტაცება გამოიწვია. მათ აკომპანემენტს უწევდა ალეკოს მეუღლე, შესანიშნავი მუსიკოსი ქალბატონი მარინა დარჯანია.

კონცერტის ფრიად არაორდინარულ ნაწილს კი შეადგენდა ტენორების ნამდვილი ალღუმი ახალგაზრდა მომღერლების – ირაკლი მურჯიკნელის, გიორგი გელაშვილის, არჩილ გოგიტიძის, არმაზ დარაშვილის, ანზორ ხიდაშელის, ირაკლი კახიძის და ვოკალის დიდოსტატის თემურ გუგუშვილის მონაწილეობით, ძალიან კარგი სანახავი და, კიდევ უკეთესი, – მოსასმენი იყო!

...სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენ ძვირფას ალეკო ხომერიკს!

**გულბათ ტორაძე**

**განცხადება**

**2009 წლის 10 თებერვალს 12 საათზე, სს „არწივის ხეობის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი დედოფლისწყაროს რაიონი სოფ. წითელწყაროძ გაიმართება სს „არწივის ხეობას“ მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

სს „არწივის ხეობას“ მიმდინარე საქმიანობის სფეროა კირქვის მოპოვება, გადამუშავება და რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭიროდ დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

სს „არწივის ხეობას“ ადმინისტრაციულ შენობაში – დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. წითელწყარო;

სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას“ ოფისში ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 5 თებერვლის 18 საათამდე.

**სს „არწივის ხეობას“ ადმინისტრაცია**

**სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ სამძიმარს უცხადებს ბატონ დამირ მანჯგალაძეს დედის ქალბატონ გოგუცა მანჯგალაძის გარდაცვალების გამო.**

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომერციულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1. ს.ს.ი.პ „საქართველოს ტქენიკურ უნივერსიტეტზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. №68-ში მდებარე პირველი სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 69,16 კვ.მ ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 375.0 აშშ დოლარი), იჯარის ვადა 4 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 750 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:

- იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტში ოფისის მოწყობა;
- ინფორმაციის წარმოდგენა „მეიჯარესთან“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

2. ს.ს.ი.პ „საქართველოს ტქენიკურ უნივერსიტეტზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის შენობის კედელზე არსებული 368,0 კვ.მ ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 11100 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 3004.5 აშშ დოლარი), იჯარის ვადა 10 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 2775 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

**საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:**

- იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- იჯარის უფლებით გასაცემ ფართზე სარეკლამო დაფის მოწყობა;
- ინფორმაციის წარმოდგენა „მეიჯარესთან“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

3. ს.ს.ი.პ „საქართველოს ტქენიკურ უნივერსიტეტზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის შენობის კედელზე არსებული 330,0 კვ.მ ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 9800 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში (მ.შ. წილობრივი მიწის წლიური საიჯარო ქირაა 2450.0 აშშ დოლარი), იჯარის ვადა 10 წელი.

„ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 2450 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

**საკონკურსო პირობებად განისაზღვროს:**

- იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- იჯარის უფლებით გასაცემ ფართზე სარეკლამო დაფის მოწყობა;
- ინფორმაციის წარმოდგენა „მეიჯარესთან“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

**კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიას წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლით);

გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და წესდების ასლს.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის გამარჯვებული.

კონკურსში გამარჯვებული წლიურ საიჯარო ქირას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველთვიურად (თანაბარწილად).

**საჯარიმო სანქციები:**

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ: ა) საიჯარო ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში – 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბ) სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის – კონკურსის შედეგებით დადგენილი წლიური საიჯარო ქირის ოდენობით.

„ბე“-ს გადახდა ხდება: „თი ბი სი“ ბანკი, სკ 211349192, ა/ანგარიში 3408001/GEL, ბანკის კოდი 220101830.

**კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 16 იანვარს 15 საათზე.**

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2008 წლის 18 დეკემბრიდან 2009 წლის 16 იანვრის ჩათვლით 10 საათიდან 14:30 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვრება კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქ. №77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება (ტელ: 36 52 03).

# ბოლო გვერდი



## ინფორმაცია

### პრეზიდენტმა 1 280 პატიმარი შეიწყალა

როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, 1280 შეწყალებული პატიმრიდან, სამის გარდა, საპატიმროებს ყველა დატოვებს. მისივე ცნობით, ამ სამს სასჯელი გაუნახევრდა.

— პრეზიდენტმა გადაწყვეტილება შეწყალებაზე ინდივიდუალურად მიიღო. ჩვენ არ გადაგვიგზავნია სიები. შესაძლოა, შესაწყალებელ პატიმართა სიები იუსტიციის სამინისტროდან, პროკურატურიდან და საპატრიარქოდან შევიდა, — განაცხადა თევდორაძემ და აღნიშნა, რომ ახალ წლამდე კიდევ ერთი შეწყალება იგეგმება.

შეწყალების კომისია 24 დეკემბერს შეიკრიბება, სადაც პატიმართა განაცხადებს განიხილავს და პრეზიდენტს გადაუგზავნის.

### „სახალხო ბანკიდან" 65 ათასი ლარი გაიტაცეს

გუშინწინ, დილით, დაახლოებით 7 საათსა და 20 წუთზე, თავდასხმა განხორციელდა „სახალხო ბანკის" ჩუღურეთის რაიონის ფილიალზე.

წინასწარი მონაცემებით, ფილიალს თავს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ორი პირი დაესხა. თავდასხმისას ბანკის ოფისში ფილიალის მენეჯერი და რამდენიმე თანამშრომელი იმყოფებოდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, გატაცებულია დაახლოებით 65 000 ლარი.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თავდამსხმელებმა შემთხვევის ადგილიდან გაქცევისას ბანკის ოფისში ასაფეთქებელი მოწყობილობა დატოვეს, თუმცა, ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

თავდამსხმელებმა მიმალვა მოახერხეს.

### ქართველ მსახიობს გულმა უმტყუნა

36 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა ქართველი მსახიობი დავით იაშვილი. ტრაგიკული შემთხვევა ამსტერდამში 16 დეკემბერს მოხდა.

დავით იაშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. განსაკუთრებული პოპულარობა მსახიობს კინოროლებმა მოუტანა.

დავით იაშვილი თამაშობდა გახმაურებულ სერიალში „სტალინი ლაივი", მთავარი როლი ჰქონდა ლევან თუთბერიძის მრავალსერიან ფილმში „ქაღალდის ტყვია".

ბოლო კინოროლი მსახიობმა დიტო ცინცაძის ფილმში „მედიატორი" შეასრულა.

ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ"** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა"** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას"** 90 (ოთხმოცდაათიძ) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა" ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! — შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა"!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე — 37.47.49; 25.33.88; საქპრესა — 93.30.40; ექსპრესი — 93.66.78; უწყებანი — 93.64.72; ინფოსერვისი — 95.48.82; რუბიკონი — 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე — 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით — 60 ლარი, ერთი წლით — 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია — 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## სხარტულა გამოცანები

სკამი და თბილი ადგილი შეჰყვარებია ძალიან,
ერთ მინისტრ მაინც გავზარდეთ, ძეგლებთან მეომარია...

* * *

მსგავსი რამ არცა მინახავს და არცა გამიგონია!
ლაფში ჩაფლული ქვეყანა ნატოს კარს მდგარი ჰგონია!..

* * *

აჭრიჭინდა კარუსელი — ჭრიჭი-ჭრიჭი-ჭრიჭი,
და მინისტრად მოგვევლინა ბაგა-ბაღის ბიჭი...

თამაზ ეკალაძე

## ზამთარი

### თოვლი ჯერჯერობით ვერ გვაშინებს

**თოვლის მიუხედავად, თბილისის გზებზე მოძრაობა შეზღუდული არ არის, — განაცხადა თბილისის დასუფთავების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ტარიელ ხიზანეიშვილმა.**

მისივე ინფორმაციით, დედაქალაქის ქუჩებში ტრანსპორტით გადაადგილება უსაფრთხოა. ღამის განმავლობაში გზების გასაწმენდად 55-მდე ერთეული სპეციალური ტექნიკა იყო მობილიზებული.

როგორც ხიზანეიშვილმა აღნიშნა, ქუჩების თოვლისგან გაწმენდისთვის სერიოზული სამუშაოა თბილისზე შემოერთებულ ტერიტორიებზე. კერძოდ, კიკეთში, კოჯორში, ტაბახმელაში, წყნეთსა და ოქროყანაში, სადაც გზის გაწმენდა ყოველ ნახევარ საათში იყო საჭირო.

მანვე აღნიშნა, რომ დედაქალაქს ტექნიკური მარილის საკმარისი რაოდენობა აქვს და ტემპერატურის შემცირების შემთხვევაში ტროტუარებზეც დაყრიან.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

დირექტორი თავის პირად მდივანთან ერთად ერთი კუპით მგზავრობს. მდივანს ზედა საწოლზე სძინავს, დირექტორს — ქვედაზე. ღამით მდივანს გაეღვიძება, საწოლიდან ჩამოვა და დირექტორს აღვიძებს:

— ძალიან შემცივდა, ერთ საბანს ხომ ვერ მიშოვიდით?

— მოდი, ასე ვქნათ, წარმოვიდგინოთ, რომ ამ ერთი ღამით ცოლ-ქმარი ვართ.

— ოი, რა კარგია!



— მაშინ წადი, შენი დედაც... და თვითონ იშოვე ის საბანია თუ რაღაც ჯანდაბა!

* * *

— წარმოგიდგენია, — ეუბნება ცოლი ქმარს, — გაზეთში წერია, რომ მეცნიერებს შეუქმნიათ აპარატი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს 150 წლით ახანგრძლივებს.

— კარგია, — ამბობს ქმარი, — უცოლო რომ ვიყო, ამით აუცილებლად ვისარგებლებდი...

* * *

— რა ვქნათ, უფროსო! ჩვენს საქონელს არავინ არ ყიდულობს! როგორ მოვიქცეთ?

— კიდევ ათი პროცენტით გაზარდეთ ფასები და გააკარით დიდი პლაკატი: „გრანდიოზული გაყიდვები! გრანდიოზული — 45-პროცენტიანი ფასდაკლება!" ხალხი აღმერთებს ამ მაგიურ სიტყვებს.

* * *

— გაიგე, ერაყელ ჟურნალისტს ჯორჯ ბუშისთვის ფეხსაცმელი რომ უსვრია?

— ის ფეხსაცმელი ტალახიანი ხომ არ იყო?

— არა, თურმე გაკრიალებული ყოფილა!

— ესე იგი, პატივს სცემს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.